K 22147
1

ნ. ბერიკაშვილი

ელვა ზღვის პირას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

821.353.1-13
ქ 201

К 8339
К 22149
1
Ф-01
Республиканская библиотека
им. А. Церетели
Аджар. АССР
«საბჭოთა აჭარა»
№
ARAKI TSERETELI BATUMI PUBLIC LIBRARY

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Г 2-12
899.962.1-1
მ 201

როგორც ცნობილია, 1927 წლის 1 მაისს შეიქმნა „აზნავთმშენის“ ბათუმის კონტორა და დაიწყო ნავთსახდელი ქარხნის მშენებლობა. საბჭოთა ინდუსტრიის ამ პირმშომ ხელი შეუწყო ადგილობრივი ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას მრეწველობაში, მუშათა კლასის განვითარებას.

ეს რთული და ძნელი პროცესებია ასახული პოემაში.

7-4-3
16 ადგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



1.

— თქვენც გაიგებდით, სკენდერ ბიძია,
თურმე მთავრობა ყიდულობს მიწებს.
— ყიდვა აკრძალა... და შეუძლია
თვითონ იყიდოს და ფული მისცეს?!
— კი არ ყიდულობს... თურმე გლეხობას
ასასახლებელს უსწორებს ხარჯებს.
— ასასახლებელს? არც ეს მოხდება.
ჩვენს სოფელს-სხვისი არაფრით არ ჯობს.
შენ, ჩემო ძმაო, პირში ვარ მთქმელი,
ჩოხას და ყამას შეაშვი ხელი.
უქმად ხეტიალს, პირდაპირ გეტყვი,
ავკაცობა და ჭორები ელტვის.
— თქვენ მართალი ხართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჰოდა, ასე თქვი.
თორემ ვის უნდა ჭორი ასეთი?
ვინმეს სურს მიწა ხელში ჩაიგდოს
და ხმას ავრცელებს გვასახლებენო,
მაგფერი კაცი რას არ ჩაიდენს
მოსასპობი და გასაქრობელი!
თვითონ მდოელიც ასე აყვავდა.
ახლა, ჩანს, მასაც შეუდგა წყალი.
ვინმე ახალმა ნახა თანხა და
დაუგო ხუნდი და წოწინარი:
ჯერ ხმა დაყარა — გვასახლებენო,
მიწას ყიდიან, ასაღებენო.
მერე საწარმოს ხელმძღვანელ პირებს
დაიახლოვებს, გადაიბირებს.
მერე ნედლეულს დაეცილება —
გაუჭირდება ფასის ცვლილება.
მერე გაფიცვას ასწავლის მუშებს...
თავანს მოუშლის, წყალს გადაუშვებს...
ყაჩაღს მიუჩენს, დაჰკრავს დანას და
ხელში ჩაიგდებს დაბახანასაც.
ჰოდა, ვინ იტყვის ჭკუათმყოფელი,
რომ კაცს შერჩება წუთისოფელი! —
ჯემალი უსმენს სკენდერ ლაზიშვილს,
რომელსაც მოკლედ შეარქვეს ლაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი თავისას მაინც არ იშლის,
და სტუმარს ყელში მოაწვა ბრაზი:
— ფერაძემ თქვა და არ დაიჯერებთ?
ქარხანას აგებს მთავრობა თურმე...
— ფერაძემ? ის არ აჰყვება ჭორებს...
გუშინ აქ ახლდა ქალაქელ სტუმრებს.
ფერაძემ თუ თქვა... კი, შეიძლება. —
მოხუცმა თავი ჩაჰკიდა ახლა. —
საწყალი ბიჭი! ლუკმას ეძებდა.
დღეს კი ნამდვილი უფროსი გახდა.
დაბახანებში შექმნა ერთობა,
ასე გგონია, ძმები არიან.
ყველა უჯერებს, ყველა ენდობა.
ახალგაზრდები სულ გადარია...
— ო, სკენდერ ბიძავ, მეც ისე მიყვარს,
ჩემი ნამდვილი ძმა იყოს თითქოს.
საქვეყნო საქმეც ვაჟკაცურ მიჰყავს...
მაგრამ ამ სოფლის აყრას რომ ფიქრობს?!
— როგორ თუ აყრას? ეს არ მოხდება.
— უკვე მთავრობას გადუწყვეტია.
მერე რამდენი ეზო ოხრდება!..
ჩვენი ძალა კი ზღვაში წვეთია.
მედაბახანე ტყავს შეელევა,
მაგრამ მუშებმა რა უქნან შიმშილს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას დაგვხოცავს ციებ-ცხელება.
ჭაობში გვყრიან... შიში მკლავს, შიში!
ახლა სჭირდება სოფელს მოთავე,
წინამძღოლი და გამკვლევი გზისა.
ხალხმა შენ მოგცა ხელში სადავე.
გადაწყდა. ხალხმა შენ გიცნო ღირსად.
თავკაცობას გთხოვს მთელი ეწერი,
წლებიც ხელს გიწყობს, ისედაც გშვენის
მთავრობას ნახავ. შეეხვეწები...
თანაც ფერაძეს ხათრი აქვს შენი. —
ლაზმა მარცხენა თვალი დაწკურა,
მერე მიწაში ჩაასო ცქერა.
ეჭვის და ფიქრის ზღვაში დაცურავს:
სტუმარს რა უნდა — ვერ მიხვდა ჯერა.
ჯემალი მიხვდა, ეძებსო გუმანს,
კიდეც შეწუხდა, კიდეც იცინა,
წელან თუ ლაზმა ვერ დაადუმა,
ახლა სიტყვაც კი ვერ დააცდინა,
— რას ეტყვი სოფელს, ბიძია სკენდერ?
ჩვენ გვინდა, შენიც ვიცოდეთ აზრი.
— ვიფიქრებ კიდევ. ხვალამდე მენდეთ. —
თქვა და წამოდგა მოხუცი ლაზი.
ჯემალიც ადგა:
— სხვა რა გზა დარჩა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე ამბობდა ჭკვიანი თერძი:
ცხრაჯერ გაზომვა, ერთჯერ გადაჭრა...
მერე, გამოდის... მთავრობას ვებრძვით. —
ახლა პასუხიც არ გაუცია,
ისე გაბრუნდა ჯემალი უმალ.
სკენდერს ამჯერად არც კი უცდია,
რომ გაჰყოლოდა ჭიშკრამდე სტუმარს.
მივიდა, შედგა სახლის წინ მორზე,
თვალმოჩრდილულმა გახედა ზღვისკენ.
კარი მოსინჯა, მოსწია ორჯერ
და გასაღებით გააღო ისევ.
აპრილის სუნთქვით გამთბარ ბერიკაცს
სულ არ ეამა ოთახში შესვლა,
ეზარებოდა მოხუცს ჯერ იქაც,
სიხარულივით მღიმარე ხესთან,
მაგრამ უჟმურს ხომ უნდა გაექცეს,
გარეთ მეტია ციების შხამი.
თითქოს წესია: ჭაობს და ეწერს
ნისლი და კოღო იუფლებს ღამით...
ლაზმა გაქექა ცეცხლი ბუხარში,
შეუწყო წვრილად დაჭრილი შეშა,
მონახა ხვიტი, დღეს რომ მოხარშა,
ცივ მჭადს კაცსავით გაესაუბრა,
და ერთი მძიმედ ამოიხვნეშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მიუჯდა ღარიბულ სუფრას
— ფერაძემ თქვაო...
ფიქრი ირევა
სკენდერის მოხუც, მოქანცულ თავში:
მისი ულუფა ისეც მცირეა
და რომ მოაკლონ, რაღა ქნას მაშინ?
რა დაუტოვოს შვილს და მემკვიდრეს,
ერთადერთი და ნანატრი რომ ჰყავს!
დამძიმებული თავი ჩაჰკიდა,
ყური დაუგდო ფიქრების როკვას:
ახლა ბათუმში, ტექნიკუმშია,
შაბათს ვერ მოვა — ჰგონია გვიან:
— ავად არ იყოს... ვაი თუ შია...
ეჰ, ერთადერთ შვილს რა შვილი ჰქვია! —
არ იშორებდა. მაგრამ ფერაძემ
აქაც დაიდო წილი და ღვაწლი,
რომ ამ ნახევრადჩამქრალ კერაზე
გამოსულიყო ნასწავლი კაცი...
ოთხი წელია... ისე გარდიქმნა,
თითქოს ეს ბიჭი ხელახლა იშვა.
მამას სთხოვა და შალვა დაირქვა
ფერაძისადმი მადლობის ნიშნად.
— შალვა ფერაძე!.. ჯემალი თუ ის?
შალვამ რად უნდა გვისურვოს ცუდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა! ჯემალი რაღაცას სტყუის
და მის წუწუნსაც სხვა სუნი უდის. —
ადგა სკენდერი. სუფრა დატოვა.
გაზეთი მოხსნა სარკმელს აკრული.
ირგვლივ ნისლია, თითქოს დათოვა...
და ფიქრში მოხვდა კარზე კაკუნი.
შეკრთა მოხუცი. სმენა დაძაბა.
ის დღეს არავის არ ელოდება.
და როცა, გვიან, ფეხი გადადგა,
შვილი ღიმილით შემოეგება.
— ვერ გაიგონე? რად არ გამიღე?
— შუქრი,... შალიკო...
— რად ხარ ამცბარი?
— სამშაბათს... რატომ? ხომ არ გაიგე,
რომ დღეს მამაშენს გული აქვს მკვდარი?
— გული გაქვს მკვდარი? რატომ, რის გამო?
— მთავრობა მიწას და სახლ-კარს გვართმევს.
— რაო?!
— რაო და ქარხანას ვდგამო...
— მერედა ჩვენ ხომ ზეიმი გვმართებს!
— როგორ?!
ჯერ ბიჭმა გახსნა ულუფა —
პანსიონიდან ხორცი და პური.
ჩვარი გადუსვა მამის ნასუფრალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხდნენ და:
— მამა, დამიგდე ყური:
ეს ადგილები სამისოდ იცნეს
და, სიმართლეა, ქარხანას დგამენ.
ისიც სწორია: დაცლიან მიწებს.
მაგრამ არც სოფელს აკლდება რამე.
მხოლოდ ხუთ ოჯახს მოუწევს წასვლა.
და ისე ხვდებათ მიწა და თანხა,
ხე-ტყის მასალა, ცემენტი და სხვა,
რომ აუგებენ უკეთეს სახლკარს.
— სოფელი რომ წუხს?
— არა, ღორები:
მდოელი და სხვა მუქთახორები,
ყველა, ვინც სხვისი შრომით სუქდება,
ვისაც სძულს ჩვენი ხელისუფლება.
აი, ვინ წუხს და გული უკვდება...
ინჟინრად მოდის ვასილ კოპაძე
ძველი, ცნობილი სპეციალისტი.
მეც ტექნიკოსი გავხდი უკვე და
ბედნიერების დღეებს განვიცდი,
აქ მაგზავნიან, მშენებლობაზე.

მამამ აზიდა წელი ამაყად:
— შვილო, კაცი ხარ, ნასწავლი კაცი!
მეტი რა გითხრა... ნეტავ ამაღამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამბაჩა მქონდეს, თორმეტჯერ დავცლი!

კედელზე ლანდებს უხმოდ არხევდა
ჭრაქი ლიცლიცა, ღამენათევი.
სიტყვამ ვერ შეძლო გულის გახევა
და ვერ ამოთქვა ამოსათქმელი.

თვალდათვალ მორჩა კაცი, გამხნევდა,
დაცხრა ფიქრების კორიანტელი
და თვალზე ცრემლი სურვილს ამხელდა —
კიდევ იცოცხლოს ორი ამდენი!

* * *

ცალმხრივ სოფლის გზა ხვდებოდა დუქანს
და ბილიკები უვლიდა ირგვლივ.
პატარა ღელე აკრავდა უკან
და რამდენიმე ბორცვი და ჩირგვი.
წინ გვიმრიანი ეწერი იყო.
მერე ჭაობი, ყვითელი წყალი,
მომთაბარეთა კარვები ვიწრო
ავი ციებით დაუვიწყარი.
ტყავის ორიოდ საწარმო იდგა,
ოდებიც იყო — სოფლის იერი.
ნაღველით სავსე მოჩანდა გზიდან
ბათუმ-ქალაქის დასალიერი.
მართლაც, ნაღველით იყო და შხამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე ეს კუთხე და ეს უბანი.
მაგრამ დუქანი შველოდა თითქოს,
აქ პოულობდნენ გესლიან სიტკბოს —
აქ ისმებოდა დღისით და ღამით
„მაღარიჩი“ თუ შესანდობარი.

იქ, შარისა და მდინარის გასწვრივ
ხშირად დაქროდა საეჭვო ლანდი —
მკვლელი, მძარცველი, მეკონტრაბანდე,
და ცოდვილობდა ბოროტი კაცი
გვიან ღამიდან გათენებამდე.
წახრილ დუქანში ბჟუტავდა ჭრაქი,
სვამდნენ წყალნარევ ღვინოს და არაყს.
და ფიცულობდნენ, რომ ყველა აქებს,
რომ მთელ ბათუმში, არც თბილისს აქეთ
ასეთი ღვინო არავის არ აქვს.
აბა, სირაჯი?.. იცნობდნენ იმას,
როგორც ის თვითონ — საეჭვო ლანდებს,
იცნობდა სოფლის ყოველგვარ წვრილმანს,
ყველა მომსვლელის ზრახვებს და დარდებს.
თვალს შეავლებდა ავკაცებს შფოთვით,
მიაცილებდა ნისლიან მთამდი,
მერე მზად ჰქონდა იმდენი ბოთლი,
იმდენი ჭიქა, თეფში და მწვადი.
გამოუვლიდნენ, დალევდნენ ღვინოს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასპინძელს ლუკმას აჩრიდნენ მსუქანს.
და, ცოტა მაინც რომ წაიძინოს,
მედუქნე გვიან კეტავდა დუქანს.
მაშინ სიჩუმე ჩამოდგებოდა,
ყველას ეძინა ლეგა ჭაობში,
და მხოლოდ თაგვი თაროს ზემოდან
დაეშვებოდა საკუჭნაოში.
ყნოსვით ეძებდა ქონიან ჯამებს,
ხრავდა, თუ სადმე დარჩა კაკლები, —
თუ ავკაცებმა იმდენი ჭამეს,
თაგვი რითაა მათზე ნაკლები!..
რევოლუცია...
ქოხი დახურეს.
მერე კვლავ მისცეს ვაჭრობის ნება.
მერე — ნოქარს და მოსამსახურეს —
ხელფასიც აქვს და მოგებაც ხვდება.
უხმოდ ჩამოხსნა ძველი ფერწერა —
ყანწი ეხატა და ქვეშ ეწერა:
„ზდეს ტარგუით ვინამ
ბედნიმ არუთინამ“.

ახლა დუქანში სხვა ფუსფუსია.
დღეს არუთინა გიჟივით ადგა.
ღვინით ბოთლები არ გაუვსია,
სულ დაკარგვია ვაჭრობის მადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა სულელია!
როცა მდოიანცს
ცრემლი უდუღდა ქონიან თვალში,
ანუგეშებდა:
— „მე კი მგონია,
ჩვენი ერთობა ქარხანას ჩაშლის.
შევედავებით, ხელს არ მოვუწერთ...
გაუმარჯვნია ვინაც კი ცდილა.
მერე თავისი ზურგით მოუწევთ
წაიღონ სადმე ხრეში და სილა“.
დღეს კი, ეტყობა, გასწირა ბედმა:
აშენებენ და...
შენ ხატე გეგმა!
რა სულელია!
ერთხანს ეგონა,
რომ მშენებლობა მატებდა მუშტარს.
იქ კი თავისი ფარდული გახსნეს,
შიგ უსუსური „ჭყინტი“ გოგონა
მოიყვანეს და გვრიტივით ჩასვეს.
— აფსუს! — მედუქნემ წარმოთქვა კუშტად.
მაგან რა უნდა გაუგოს მუშტარს! —
მერე იყუჩა ორიოდ წამი,
ფეხით გასწია სამფეხი სკამი
და ხმამაღლა თქვა უსარფო დახლთან:

— ახმახ, გაიგე: დროება წახდა!
ასე დალამდა წუწუნით, მოთქმით,
ღამით სტუმრებმა ატეხეს დავა,
წინ ედგათ ღვინო სამიოდ ბოთლი,
ისე, სათვალოდ, შესახედავად...
ამ დროს ჯემალი ღიმილის გაშლით
დაშორდა შალვა ფერაძეს გზაზე —
პარტიის „უფროსს“ მშენებლობაზე.
დღეს ჯემალს სხივი სხვა ენთო თვალში,
სხვა კაცი იყო, სხვა გარდაფხაძე.
მოდის და ნანობს, რომ ასე გვიან
იცნო ქვეყანა, შემთხვევით ისიც,
რომ მას სოფელში უსაქმო ჰქვია
და უმიზნოა ცხოვრება მისი.
— კაცი არ ვიყო, თავისთავს უთხრა, —
თუ იმ მუშებში ჩამოვრჩე ვინმეს,
რომ თავიანთი დატოვეს კუთხე
და მშენებლობის იღებენ ბინებს!
ვნახოთ...
დუქანი!.. რამ დამაყენწყა,
დაწყევლოს ღმერთმა! —
და შეუხვია. —
მტუქსონ... გაუსკდეთ თავი და მიწა! —
შევიდა. წარბიც არ შეუხრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ _____
ADAPI ZAKARIA BATUMI PUBLIC LIBRARY
1 92147

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ კი დავას განაგრძობენ,
თითქოს უძლევ ძალას გრძნობენ:
— არ მივყიდოთ!
— ძალით ხომ ვერ წაგვართმევენ!
— მშენებლობა დავშალოთ და მოვსპოთ!
— ხუთი კაცი სახელმწიფოს მიერევა?
— მოდი, თხოვნა გავუგზავნოთ მოსკოვს!
— ესეც ელჩი! —
რამდენიმემ შეიძახა.
და ერთთავად ლაპარაკი შეწყდა.
თითქოს ტყეში მშიერ მგელთა ხროვა ნახა,
ჯემალს ფერი დაეკარგა, შეცბა.
უნებურად გადაუსვა ყამას ხელი,
ნელა წადგა მუხლმოჭრილი ფეხი,
ჩოხის კალთით
მოიწმინდა შუბლი ცხელი,
დახლს მიადგა ულვაშების გრეხით.
— ჰო, თქვი, კაცო.
— ბარემ გვითხარ, ამოშაქრე.
— ჯერ იგი თქვი, სად იყავი გუშინ?
— ნახე თვითონ ფერაძე და ლაზის შუქრი?
— შუქრი არა, შალიკოა ახლა...
— ის მამაზე უფროსი შავნე გახდა.
— ბებერს კარგად ჩაუხედე გულში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონებო! ლაზიც ვნახე, მისი ბიჭიც.
და ფერაძემ სოფლის აზრი მკითხა.
მერე ვნახე პირობები... არც თქმა მიჭირს:
მომეწონა, გულახდილად გითხრათ.
— მოღალატე! —
და ერთმანეთს გადახედეს.
— მე არ მინდა!
— ვერც მე დავთმობ დაბახანას! —
ერთი კაცი გამოშორდა წინა კედელს,
დახლთან დადგა:
— ყური ვუგდოთ ახალ ხანას.
პირობებსაც... თითქოს არა უშავს.
— შენ რას კარგავ? თვითონ შეხვალ მუშად.
— როგორ, კაცო? დაუფიქრდით, ბატონებო:
ფულს გვაძლევენ, ნადგამობას გვიტოვებენ,
გინდ ქალაქში, გინდ სოფელში, შორს თუ ახლოს,
სადაც ვირჩევთ, იქ გვაძლევენ სამოსახლოს...
ამას ჰქვია „გვართმევს“?!
არა, ჭკუა გვმართებს. —
მდოელი კი ცოფსა ყრიდა,
ჯემალმა რომ მომხრე ნახა:
— ის ყმაწვილი ინჟინერმა შეისყიდა,
ამოუვსო ქრთამით ხახა!.. —
და დაემსგავსა ჯემალი შეშლილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლი და ბრაზი მოაწვა ყელში:
— აქ რა არის საქრთამო და საქარაგმო!
ყველა მუშამ, ტყავს რომ ხდიდი,
შენი აზრი ერთხმად დაგმო,
მშენებლობის მხარეს დადგა.
აქ საკითხი სარკესავით ნათელია,
მეც ხვალიდან მშენებლობის მუშა ვარ და...
უკაცრავად, წუხელ ღამენათევი ვარ! —
თქვა და გაშორდა დუქანს,
არც მოუხედავს უკან.
მერე ადგნენ და მონახეს მათაც ბინა,
რომ იფიქრონ გარიჟრაქის აფრენამდე...
და დაკეტა დღეს დუქანი არუთინამ
გუშინდელზე უფრო მაგრად, უფრო ადრე.

მეორე დღეს ჩოხოსანმა ჩაუარა მუშებს.
სახლს მიადგა. შესვლა უნდა.
მეკარე არ უშვებს:
— თათბირი აქვთ, ამხანაგო.
— მე შალიკო მინდა.
— არ სცალია.
და მეკარემ თვალი ჰკიდა ყამას.
უცქირა და გაეღიმა.
მოსული კი იდგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან მეკარე ბიჭს უცქერდა,
ხან საქარხნე ტრამალს.
— ბიძი, ერთი... ვინ ღებულობს მუშას?
— თქვენ რა გინდათ?
— მუშაობა.
— მერე ასე კოხტად?
ჯემალს შერცხვა.
გესლი იგრძნო, გამობრუნდა კუშტად.
ბიჭის სიტყვა და ღიმილი ისარივით მოხვდა.

* * *

საშინაო ტანსაცმელი
გამონახა ჯემალმა.
გაულიმა ქამარ-ხანჯალს
და ძველმანში შემალა.
ულვაშები ძირს დახარა,
აპრეხილი რომ ქონდა.
ულვაშაკი მიაკიდა
საკუჭნაოს ბოქლომთან.
და სარკეში ჩაიხედა:
ხომ ნამდვილი მუშაა?
ჩაიხედა, ეუცხოვა...
ჩოხამ რა დაუშავა?..
მაგრამ არა... ის მეკარე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი ციდა, ნალევი
წინ დაუდგა დამცინავი
ღიმილით და თვალებით.
მერე შალვა მოაგონდა,
მასთან ტკბილი შეხვედრა.
— კაცი უნდა გახდე, კაცი! —
უთხრა, თითქოს ევედრა. —
ჩემთან მოსვლა კარგი ქენი.
მაგრამ ხომ არ შეშლილხარ?
დაუკვირდი: ღარიბი და...
იმ მდოელის წრეში ხარ?! —
ვითომ კიდეც შემიბრალა,
კიდეც გამითანიშა,
მაგრამ რატომ არ მიმიღო
და უმცროსთან გამიშვა?..
მიმიღებს თუ არ მიმიღებს, —
ფიქრი ეჭვებს ებრძოდა.
უარი თქვან, მიმაბრძანონ
მშენებლობის ეზოდან?
წავიდე თუ არ წავიდე?
ისევ მდოელს ვუმზირო?
ამ ჭოჭმანში დაილია
თეთრი ღამე, უძილო.

ჰოდა, დილით გარდაფხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესვლას ითხოვს შალიკოსთან.
მეკარემ მის დანახვაზე
თავისთვის თქვა: „ჩვენი კოხტა!“
კარ-ღრიჭოში შეიხედა,
მერე უთხრა, მიბრძანდითო.
შედიოდა, თან იხევდა,
ეწეოდნენ უკან თითქო.
— ჯემალ! კაცო, მოდი ერთი...
შენზე შალვამ მითხრა გუშინ.
რატომ არ თქვი, როცა შემხვდი,
თუ აქ მოსვლა გქონდა გულში?
— ამ აზრს მერე შევეჩვიე...
ფერაძე რომ ვნახე, მერე.
რა კაცია! მან მირჩია...
მომარჯულა, დამიჯერე.
— მოლხენაზე როგორა ხარ?
ღვინოს ცოტა უკლო უნდა.
— წვეთს არ დავლევ, აი, ნახავ,
თუნდ მაჩუქონ ასი გუდა!
— შენი მჯერა. —
კალმის მოსმა:
ბრიგადაშიც ჩაწერს ბარემ.
ხელი დაჰკრა ტექნიკოსმა
და მუშკომის თავმჯდომარემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

შალიკომ შესძრა ცა და ქვეყანა, —
თხზავდა სიმღერის სტრიქონებს.
მერე, ერთ ღამეს ყველა შეჰყარა
სურვილისა და ხმის მქონე.
ტექსტი ასწავლა ყველას ზეპირად —
ქართველებს, სომხებს, რუსებსაც.
ძველი ხალხური კილო მოპირა
და ამ სიმღერას უსესხა.
იმღერა. მერე სხვებიც ამღერა,
დამწყებიც გაწვრთნა ჭახჭახა.
იწვალა, ბევრი ოფლი დაღვარა,
გუნდი შეკრა და გაჩარხა...
და დილით, როცა მზიან მთას და ხევს
ჰიმნი უმღერა ტოროლამ,
მუშებმა მწყობრი მარში დასძახეს,
მწკრივში დამდგარმა ორ-ორად:
„მზეზე ადრე თუ არ დგები,
რას მოაწრებ გვიან, ნეტა.
ხარაჩოზე თუ არ დგები,
რა მშრომელი გქვია, ნეტა.
გაახილე ორივ თვალი,
ნახე, თუ რა ამბებია:
არც ჩარჩი და არც ვაჭარი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც აღა და არც ბეგია.
იშრომებ და შენი არის,
დაჰკა თოხი, დაჰკა ბარი,
შრომის ოფლიც ერთი არის
და დოვლათიც თანაბარი.
თავისუფალ შრომას რა ჯობს,
ახალ დროს და ახალ ხანას.
ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს,
ჩვენს მარჯვენას და ქარხანას"...
დაილოცოს ხუნდაყრილი შრომის ძალა,
ბაღად გაშლის ფშანებსა და ფშიარებს.
ვენაცვალე, ეს ამ დროშამ მოიტანა,
ზღვაურ-ქარში გაშლილი რომ შრიალებს.
შეხედავ და აღდგებიან ყრმობის წლები
და სიამით გული შეიკუმშება...
სწორედ ასე — ხალისით და მოწიწებით
ჩაიარეს მშენებლობის მუშებმა.
წინა მწკრივში ჯემალია, გარდაფხაძე —
ნაბდის ქუდით, უჩოხო და უყამო.
დაიწყებს და მერე ბიჭებს გადასძახებს:
აბა, დასცხეთ, არ ჩამორჩეთ უკანო.
ცამდე ადის ძახილი და მოძახილი,
ცამდე ადის შრომის ხმა და ნადური.
ჭალებს ჭრიან — აქ იქნება გზა და ხიდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკინა მოაქვთ, ფოლადი და აგური.
მთამ გადიძრო ნისლიანი სამოსელი,
მზემ სხივები გადმოყარა ორწილი.
მუშებს უცქერს გამვლელი თუ გამომვლელი:
ეს რა ხდება — შრომაა თუ ქორწილი!

არუთინაც გამოვიდა გულგამსკდარი
და რომ ნახა, თუ რა შრომის ბუღია,
დაიკვნესა და დაკეტა დუქნის კარი,
დაკეტა და მეტად არც გაუღია.

2.

თოვლი მხოლოდ სარკინეთზე
გაზაფხულს თუ შეაჩერებს,
თორემ დაბლა, თაგოს მთებზე
ჩანჩქერები შლიან ჩქერებს.

მთის გულში და მთის კალთაზე
კვირტებს ეძებს ტყეში შველი..
ქვევით, ხევში თიკნებს დასდევს
ერთი გოგო ფეხშიშველი.

შორ-შორ დგება, არჩევს ჩრდილებს,
ღელეს ერთვის მისი ცრემლი:
— დედავ, რატომ გამაჩინე,
რად დაიდე ცოდვა ჩემი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გაუწყდა მოთქმა ახლა
მისკენ მავალ ფეხის ხმაზე,
შეკრთა. მერე შეიძახა
მასწავლებლის დანახვაზე:
— თამარ! —
და კვლავ ცრემლი წასკდა.
— რად მომკალი ძებნით, ქალო?
აკი მითხარ, საქმე მაქვს და
ორ-სამ დღეში ამოვალო.
— არ მიშვებენ... არ მიშვებენ!
არც მაცლიან ერთი წამით.
— მერე? გვიან, შრომის შემდეგ
მოხვიდოდი ჩემთან ღამით...

* * *

და მართლაც, რომ სდუმდა შარაგზა,
წყაროს ხმით მღეროდა ღარი,
ფიქრიემ ქურდულად დარაზა
გარედან სამზადის კარი.
ათასი ჭინკაა ღელეში
და შიში უმთვარო ბინდის,
მაგრამ ის ლუსკუმ სიბნელეში
სინათლის საძებრად მიდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათქმული ხორუმის კაკუნი,
და კარი იღება სწრაფად.
კედელზე რუკები გაკრული.
კედელთან საკლასო დაფა.
კოცნა და ღიმილი გაშლილი,
ფიქრიე წიგნისკენ იწევს,
მეგობარს შესცქერის ბავშვივით:
თამარი გაკვეთილს იწყებს.
საუბრობს ფურცლების შრიალა ხმაურში,
გადაშლის, აუხსნის,
გადაშლის, აუხსნის.
და როცა სიბნელე ქუფრად დნებოდა,
როცა ქრებოდნენ ჭალის ჩრდილები,
თავიანთ ადგილებს უბრუნდებოდნენ
ღამენათევი ქალიშვილები.

* * *

ფიქრიეს სახლში იყო წრიალი,
ჩუმი მზადება თანაც...
აღელვებული, თვალცრემლიანი
შეხვდა ფიქრიე თამარს:
— ო, თამარ, თამარ, შენ შემოგევლე, —
ეს ბოლო სიტყვა გოგომ დამარცვლა. —
გადამარჩინე შხამიან გველებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ხედავ, შენ ხარ დედაც, მამაცა!
ბიძა არის და — სისხლის მწოველი,
ბიცოლაა და — სულთამხუთავი.
ზეგ ბიძა ვიღაც ბებერს მოელის...
მომკვლენ, თანხმობა თუ არ ვუთხარი.
— როგორ?
— მყიდიან, დაო, მყიდიან!
ას ლირას აძლევს თურმე ყალიმად.
ბიძა-ბიცოლა გადამკიდია...
რა ვქნა, ობოლი და საწყალი ვარ!
— მერე, აქამდე რატომ არ გითქვამს?
— მეც ახლა მითხრეს...
— კაცი?
— არ ვიცნობ.
მაგრამ კარგიც რომ იყოს, არ მინდა...
ისე, სამოცი წლისაც არისო.
— საბრალო გოგო! — თამარ ეხვევა. —
ხულოში წავალ დღესვე, ახლავე.
ასეთი, მახსოვს, იყო შემთხვევა...
წადი, იჩქარე... ერთად გვნახავენ.
— მაგრამ...
— შენ დილით იყავ ჭიშკართან,
საწველად გყავდეს ძროხა და თხები.
თუ გაგიღიმო — არა გვიშავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მოვიღუშო — ხევში შეგხვდები.
ფიქრიე დაღმართს, თამარი გორებს
გაყვნენ, იქცნენო თითქოს ქარებად:
ერთს საძოვარზე, ხოლო მეორეს
სოფლის სკოლაში მიეჩქარება.

* * *

— სალამი თამარ! სწორედ მჭიროდი, —
მდივანმა უთხრა, — საქმეა ერთი.
— სალამი! ჯერ კი არ ვაპირებდი,
მაგრამ რატომღაც — დღეს წავალ-მეთქი.
— შენ თურმე ორი სკოლა გქონია.
— მე? ორი სკოლა? საიდან, როგორ?
— ერთში ოცამდე ბავშვი გყოლია,
მეორეში კი...
— ბარაძის გოგო?! —
ზაბითი მიწერს განცხადებაში,
მის გოგოს საქმროს ართმევდე თითქოს...
და სანამ საქმეს და ქორწილს ჩაშლის,
პატიმრობაში გყავდეთო, ითხოვს.
— კარგი, ხუმრობის თავი არა მაქვს.
— არ გეხუმრები. არ გჯერა განა? —
მარჯვენით მისწვდა ღია კარადას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განცხადება გამოიტანა.
გადასცა.
ქალმა ხელი დასტაცა,
და წასაკითხად როცა გაშალა,
ნაწერს დაჰკივლა, დაიბარბაცა,
ზიზღით გააგდო ხელიდან ჩქარა
და კვლავ იკივლა თავგამეტებით:
— ბატონო სანდრო! ბატონო სანდრო! —
წაიქცა. ტილო. წყალი. წვეთები.
მერე, გვიან თქვა:
— არ არის სანდო!
— აკი არც ვენდე. არ დავუჯერე.
მე ვიცი, გულში რა ბოღმა უძევს.
— კომკავშირლები რომ მხარს უჭერენ?
რომ განცხადებას მდივანი უწერს?!
— ჰო, არ მცოდნია... —
ზარი.
— რა გნებავთ?
— ორივე ცხენი. ორივე. სწრაფად! —
შიკრიკს გადასცა ქალმა ბრძანება
და მანქანაზე განაგრძო ჯაფა.

* * *

განთიადი რომ უწოდეს ამ სოფელს,
ალბათ, ის ჰქონდათ მხედველობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მზე პირველად სინათლეს აქ მოფენს
და მისი გავლით ჩააღწევს ბარში.
მზის სხივთან ერთად შრომა და სიცილი
ფეხს აქ აიდგამს ყველაზე ადრე,
და ბოლო სხივსაც, მეწამულს სისხლივით,
მზე აქ ინახავს განთიადამდე.

არ დაიღალნენ ცხენები,
მთა ისე გადიჯირითეს.
მეორე მთაზე სვენებით
თივა და წყალი მიირთვეს.
საბჭოს წინ ისხდნენ გლეხები,
ათასი გასაჭირი თქვეს:

— კერძო დუქანი დავხურეთ,
გაღმა ხულოში დავდივართ.
— იქაც გირვანქა რამეა,
თავზე ხომ არ გადაგვდივა!
— არც გზა და ხიდი არ არის,
გაწვიმდა — ველარ გავდივართ.

— ახლა თამბაქოს რგვა არის
და ერთი მუშა რამედ ღირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კარგად მუშაობს თამარი
და საყვედური არ მეთქმის,
მაგრამ რა...
— მერე ასწავლოს,
რაც უნდოდეს და რამეთიც.

— ახლა სკოლა და მედრესე...
ორივე გვინდა, ჩვენია,
ვისაც სად უნდა, იაროს...
— ჰო, ვისაც სად ურჩევნია.
— ხოჯას და მასწავლებლებსაც
თავისის ქება სჩვევიათ.

— მედრესეს სკოლას ადარებ?!
იყუჩო უკეთესია.
მედრესე ღუპავს პატარებს,
სკოლა... ზრდის, როგორც წესია.
— კმარა, ჭოვ! ახალგაზრდობა
რა ჭირად შემოგვესია!

ზაბით ბარაძე წამოდგა:
— ჩვენი თაობის სახელით
მე ვიცავ ახალგაზრდობას.
მე მომწონს მათი ზრახვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურთაზს მიბაძონ...—
— სირცხვილო!..—
— ხელს მიშლით წამოძახებით.

ეს ბიჭი, მეთქვა მინდოდა,
კარგი მცოდნე და ზრდილია,
ვინც მაგას მისცა მდივნობა,
ის, ალბათ, გამოცდილია...
— ზაბითი აქებს ჩვენს მდივანს!
— სწორედ რომ გასაკვირია!

მურთაზს ისარი მოხვდა თუ არა,
სანდროს ენიშნა, ჯერი დადგაო.
ჯერ ყველა საკითხს ჩამოუარა,
რაც კი კრებაზე ითქვა სადავო.
მერე იყუჩა. მურთაზს უჭვრიტა.
ზაბითის მიმართ თავის გულში თქვა,
მალე მასთანაც მივალო,
და:
— აბა, რას ეტყვი ტოლ და მეგობრებს,
აბა, რას ეტყვი ხალხს და მეზობლებს,
კომკავშირელო მდივანო? —
ბოლომდე თითქოს არცკი აცალა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭი უმალვე აიჭრა ზეზე:
— მე, ამხანაგო (მზერა გაცვალა),
შვიდი წევრი მყავს ახლა სახეზე,
კრება და ოქმი...
— სად მიიჩქარი?
მათ შორის ქალი? გვითხარი ისიც.
— არც ერთი... ღირსი ვერ ვნახე ქალი.
— როგორ! ფიქრიე? არ არის ღირსი? —
კრებამ ერთბაშად შეიკრა სუნთქვა.
ბიჭი გაქვავდა. ზაბითი გაშრა.
მურთაზმა ზაბითს რაღაცა უთხრა
და მერე სანდროს:
— თხოვნამ არ გაჭრა.
მერე, დღეს თუ ხვალ დაქორწინდება
და არ სცალია, მზითევზე საქმობს...
— და, ალბათ, შიშით არც ეძინება,
რადგან ართმევენ საყვარელ საქმროს...
ხომ? —
და მიწისძვრა იგრძნო ყმაწვილმა.
ბერმა მუხებმა დაიწყეს რხევა.
თვალი დაბნელდა, ყური აწივლდა.
გულის ბორგვაა და თავბრუხვევა.
და თავის ზიდვა რად უჭირს კისერს!
დუმილი სანდრომ გატეხა ისევ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩვენ გისმენთ, მურთაზ, რატომ დადუმდი?
და ყმაწვილს ყელში მოასკდა ცრემლი:
— მე... მაპატიეთ... ცუდი ვარ, ცუდი...
ჩემით გავთხარე სამარე ჩემი.
სანდრო და თამარ!.. თქვენი ხათრი მაქვს...
ხათრი მაქვს-მეთქი და არა შიში...
თამარმა იცის... ერთხელ ნათქმი მაქვს
ჩემი სურვილი და ანგარიში.
უარი თქვა და... კაცი გავდელდი...
ზაბით ბიძამ რომ დაწერა მთხოვა,
არც კი ვიცოდი, როგორ, რას ვწერდი...
რომ ეს ცუდი და სახიფათოა...
თორემ იმ ბებერს რა ეთამრება...
ანდა თამარი იკადრებს იმას?
თურმე კაცს თვალზე დაეფარება...
აქ ნუ მათქმიებთ ყველაფერ წვრილმანს...
რომ დაიჭერენ და გამოვიხსნი,
იქნება, აზრი შეცვალოს-მეთქი
და ძველებურად მითხრას თავისით:
„აბა, გეთაყვა, დაფასთან ერთი!...“
მასწავლებელო, დიდი ბოდიში.
მაპატიე და მე ვხედავ კარგად,
ბედნიერების ცდა-მოლოდინში
ახლა უმცირეს იმედსაც ვკარგავ .. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა და დაეცა ბიჭი მუხლებზე,
ცრემლს აწვიმებდა ლოყების ალზე.
წუხდნენ საბჭოსთან ბერი მუხები,
თამარმაც იგრძნო სისველე თვალზე...

თამართან ერთად სანდროც გავიდა,
მათ თან წაიღეს ფიქრები ზვავად...
— ჭოვ, დადექ ერთი, გვითხარ თავიდან, —
მურთაზიც უთხრობს დაუფარავად...

* * *

თამარი რომ მარტოდ დარჩა,
აიწყვიტეს ფიქრებმა.
— ამ ამბავმა გული დამწვა,
მოსვენება მიქრება:
კომკავშირში შედის ბიჭი,
კლასში ამ ხნის მარტოა...
შრომის ნიჭი, სწავლის ნიჭი...
ჰოდა, სკოლა დატოვა!
ვინ იკითხოს, ვინ გაიგოს,
სხვა ვინ არის პატრონი?
უშენოდ რომ სწავლა იყოს,
ისწავლიდნენ მარტონი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მიდიხარ სხვა სოფელში —
ტვირთს იკიდებ იმოდენს,
მასწავლებელს თუ არ გესმის,
სხვამ ვინ უნდა იცოდეს!..
სახლში კარგი რამდენია
ან სკოლაში პირველი,
მაგრამ ყველა აღმზრდელია,
ყველა კომკავშირელი?!
ან უარი რომ ვუთხარი ,
გული რად ვერ ვიცანი?
აქ ხომ ხშირად ცოლს ირთავენ
სწორედ მაგის ხნისანი!..
რაც არ მქონდა, რას ვთესავდი? —
თქვა და თითქოს გახევდა...
თან ჰქონოდა ატესტატი,
ალბათ, კიდეც დახევდა...
უკვე გვიან ღამე იყო,
მაინც როდის დაღამდა!
დღიურს
მისწვდა, ჩამოიღო:
— ჩანაწერებს ვნახავ! —
და
გადაშალა. მურთაზს ეძებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღიურის პირველ გვერდზე
იწყებს ჩანაწერებს.
შლის და სადაც შეხვდება
თვალს იქ შეაჩერებს
და კითხულობს მერე:
—... გზაზე მურთაზს შევხვდი.
მორიდებით შემომხედა:
— სათხოვარი მაქვს ერთი.
— რა გსურს?
— სწავლა მინდა,
თუმც ვემდური ასაკს.
— არა უშავს... აქამდე
არ სწავლობდი არსად?
— კი. ორი წლის ნასწავლი ვარ.
— მესამეში დაგსვამ.
...ცოდვა არის მესამეში,
მეოთხეში არ ვარგა.
რა სიცოცხლით სავსე არის!
როგორ სწავლობს, რა კარგად!
...მთხოვს მინდაო წინა მერხზე.
— მაშინ, ბიჭო, ვინც უკან ზის
ყველა უნდა იდგეს ფეხზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...კაცმა ცოტა წაამზადოს,
იანვრამდე მაინც,
მეოთხეში გამოდგება,
იმდენს შეისწავლის.
...ფანჯარაზე პალტოს კიდებს,
— რად აბნელებ? — ისე მიცქერს,
შემეშინდა კიდეც.
...დღეს ჩემამდე მოდის ხმები,
გუშინ ახმედს სცემა.
— რას ერჩოდი? — ვეკითხები,
თვალი აუცრემლდა:
— რაღაც ცუდად შემოგხედა,
თან ურჩობაც გაგიბედა...
— მერე, მერცხალო ჩემო,

მაინც არ უნდა სცემო,
...ამ ბოლო დროს მორცხვობს,
წიგნს სახლისთვის მომთხოვს.
მიაქვს. შინ რას მიხვდება!
ისევ ახსნა მიხდება.
...გუშინ მითხრა,
აგი წიგნი ტყვილად წავიღეო.
გამოვტყდები და უშენოდ
ველარ გავიგეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...სკოლაც სძულს და სკოლის ეზოც:
აცდენს, აცდენს უმიზეზოდ.
...ახალი წელი მოდის.
რაღაც ორი დღე დარჩა.
რა მოუვიდა, ცოდვილს?
დაიკარგა და არ ჩანს...

...იანვარია. არ დადის ახლა.
დღეს კომკავშირის მდივანი გახდა.

...დღეს მასთან გვერდით ვდგავარ.
თავი მოსწია ყურთან
და მეუბნება: — თამარ!
ცოლად გამომყვე უნდა!

— მდივნის უფლებას აჭარბებ...
აბა, ასე ვის უთქვამს.
„ცოლად გამომყვე“, ვაჯავრებ,
ეს არ მოხდება, მურთაზ!..

და როცა თამარს გამოეღვიძა,
დღიურს მზე ფურცლავდა უკვე,
კოცნიდა, როგორც აღმზრდელი ძიძა,
და ცვარნამს ასმევდა ნუკრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3.

ახმედი სტუმარს ელის ამაღამ
და იქნებ კარგი ამბავიც უთხრას,
თვალი მოავლო ოთახს, ეამა.
დაბალი სკამი მიუდგა ბუხარს,
გამოაღვიძა ცეცხლი, ჩაცუცქდა,
შეუწყო წვრილად დაჭრილი შეშა,
კვარის სურნელი ღრმად ჩაისუნთქა
და მერე მძიმედ ამოიხვნეშა.

— უქალო სახლი რა ოჯახია! —
მერე ფიქრებში იყუჩა დიდხანს,
და თითქოს ბუხარს უთხრა თვალღიამ:
— ვნახოთ, იქნება კარგი რამ გვითხრას.

ნური მიწიდან ამოძვრა თითქოს,
დაუკითხავად გააღო კარი.
ახმედმა იგრძნო ღიმილის სითბო
და ბუხარს მისცა მოზრდილი კვარი.

— ბუირუმ, ხოჯა.

— გახლავარ, აღა.
და ჩაახველა სალამის თქმამდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ეკრანზე, დაბლა და მაღლა
ბორიალობდა მოხუცის ლანდი.

ცეცხლს მიუშვირა სტუმარმა ლოყა,
მერე უხუცესს დაჯდომა სთხოვა.
და როცა დასხდნენ, ამბავი მოყვა,
კი არ მოყვა და — ამოათოვა.

— ვიყავი. ვნახე შენი მოყვარე.
სულ გავაგიჟე კაცი და ქალი.
ყველა მოვხიბლე. ყველას შევყარე
სიყვარული და გულის ფანცქალი.

მომასწარიო, დამიჩქარეო,
თვით მობრძანდესო ბატონი სიძე...
აწი არც უნდა ჩემი ჩარევა —
იკმარებს შენი ჭკუა და სიბრძნე.

თქვა და დაუსვა ნურიმ წერტილი,
მზერა დაადგა ტვინამდე მხვრელი,
მოხუც მასპინძელს სისხლდაწრეტილი
უცახცახებდა ტუჩი და ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდუმდნენ. ახმედმა ხელი დაისვა
და სიმწრის ოფლი ჩამოიფოცხა.
მერე კანკალით, თითქოს თავისთვის,
ძლივს გასაგონად იკითხა მორცხვად:
— გოგოს რა ქვია?
— გოგოს? ფიქრიე.
— შესახედავად?
— გადასარევი.
სახე მაისის მზე და ფიფქია.
თვალებია და გიშრის მორევი...
ასეთი ქება ახმედს ეწყინა
და ეჭვით სიტყვა შეაწყვეტინა:
— შენ ის თქვი, ქალი რა ჭკუაზეა,
თანახმა არის, თუ უარზეა?
(ახლა იმათაც ეკითხებიან!)
მერე ყალიმზე გვეთანხმებიან?
სწორად თუ მოგაქვს ბარაძის სიტყვა?
ჩემს სიბერეზე თუ რამე ითქვა? —
და ამ კითხვებში თუ რა აზრია,
სტუმარმა თვალში ამოიკითხა.
— რომელ სიბერეს უჩივი, აღავ?
არ გამაგონო წლები და დაღლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის თანახმაა... ბოლოს და ბოლოს
სამოცი წელი ვიტეხე მხოლოდ.
ალაჰმა გახსნა წყალობით კალთა,
ოღონდ ვაჟკაცად იყავი ქალთან.

— შენ თვითონ ხედავ და მაინც გეტყვი.
ალბათ, ვიცოცხლე საყოფზეც მეტი.
ერთი მომვლელი მე მინდა ახლა,
დავუძლურდი და ხმირად ვარ გონჯად.
მერე — იქცევა ეზო და სახლი,
პატრონი უნდა ნაოფლარ ოჯახს.
დიახ, პატრონი, თუნდა დამძრახონ...
თორემ რაღა დროს ცოლია ჩემი!
ისევ იმ ორთან ჯობდა დამარხვა,
მაგრამ გაძუნწდა ქვეყნის გამჩენი.
...მთავარი არის, იყოს მორჩილი.
ოჯახს მიხედოს, მომხედოს მეც და...
თვითონ მოიჭრას თავი მოჭრილი,
თუ მიღალატა, ვინმესთან შეცდა! —

ახმედის თვალში ელვა გამოკრთა.
ხოლო სტუმარმა ისე წარმოთქვა,
როგორც მტირალ ბავშვს ეუბნებიან:
— ის არ გადავა ნამუსის გზიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამას ვიცნობდი, დედას, ბებიას...
პატიოსანი ოჯახი ზრდიდა...
ეს ჩემზე იყოს. მე თავდები ვარ.
ნუ შეწუხდები ამაზე დიდად... —

ახმედს მოეშვა, ღონე მოკრიბა.
გული გაშალა დანაოსები
კარადის ყუთში ნახა კოლოფი —
ბინიატოღლის პაპიროსები.

ჯერ მიაწოდა სტუმარს თავღიად,
თვითონაც დასწვდა და გააბოლა.
მერე თაროდან შერბეთს თაფლიანს
თეფში და ჩირი გამოაყოლა.

ისხდნენ. მოხუცის ფიქრი ფართოა.
მამლის ყივილმა ღამე რომ დაჭრა,
სტუმარი ადგა. სახლი დატოვა.
და მასპინძელი თავისწინ დარჩა.

* * *

ახმედი, თითქოს ოცი წლის არის,
გამოეწყო და ამინდს ახედა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე დაკეტა მუხის ჭიშკარიც
და ზედ მოექცა ულაყ სახედარს.

დღეს ჩინებული აჰყვა გუნება,
იმღერა, თუმცა არ გაუმართლა,
მერე გაკაწრა ლექსის ცდუნებამ,
რაღაც თქვა, მაგრამ ველარ გამართა.

და როცა კლდიდან დიდ მოსახვევში
ღელის ღრიალი მოესმა ხევში,
უმალ წააწყდა ნაცნობ სტრიქონებს,
რომ იგონებს და ველარც იგონებს.

თითქოს მუხლებმაც ღონეს მიაგნეს,
და ძველი წლები დაბრუნებია...

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“.
გულით იხარა, ორ-სამჯერ კი თქვა
და მეათასედ თავისთავს ჰკითხა:
— „რბის“ — მირბის, მაგრამ „თერგი“ ვინაა?
ბანი რად უნდა? კლდენი ბინაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოიგონა ხრისტო ბერძენი,
მისი დუქანი, კენტად რომ იდგა,
სადაც პირველად ჭამა ღვეზელი
ჩამოყვანილმა ბათუმში მთიდან.

იქ მოისმინა ეს ლექსი მაშინ,
თურმე ძალიან უყვარდა ვაჭარს.
მაგრამ ავტორი და შინაარსი
თვით ვაჭრისთვისაც უცნობი დარჩა.
(თურმე ლამაზი ნაჭდობი გულზე
უზომო დროს და ქარტეხილს უძლებს!)
შემდეგ რამდენი წელი გასულა,

ერთხელაც კი არ სწვევია ბათუმს...
და მოეჩვენა თითქოს ასულმა
ჩამოუქროლა ფიქრებში გართულს.
„ფიქრიე!“ ატყდა სისხლის ფაცური.
სწორედ ასეთი დახატეს გუშინ.
რაღაც ძალუმი და ვაჟკაცური
აფორიაქდა ახმედის გულში.
თურმე მისულა ნურის მესერთან,
მოხსნა სახედარს ცოდვილი ტვირთი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიქვეითა.
წამით შეჩერდა
გულის ღელვა და თვალების ბინდი.
და როცა ნურიმ ღია ჭიშკართან
სტუმარს ღიმილით შეავლო თვალი.
ზმანებაც გაქრა და გაიფანტა,
როგორც მაცდურის შემონათვალი.

* * *

ორ სახედარზე ამხედრებული
ორი მოხუცი მიადგა მთისპირს.
ერთს თუ სასიძოდ ულელავს გული,
მეორე — გულში სამაშვლოს ითვლის.
ორივეს ხიბლავს მთა და კორდები,
ხიბლავს სოფელი ულამაზესი,
ფიქრით მოსილი ჩანან ოდები
დილის ნისლიდან გამოჭრილ მზეში.

— მაშ, თუ მოხერხდა, დღესვე წავიყვანთ? —
მეათედ ჰკითხავს თანამგზავრს ნური.
— ელბეთ! (თავისთვის: „როგორ არ მიყვარს!“)
და ისევ ჩანჩქერს დაუგდო ყური.
ახლა დაწყვილდნენ უკვე მხედრები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაკი გამოსცდნენ ლახვეულ გზაწვრილს.
ნური ალაჰს თხოვს ჩუმი ვედრებით —
დაამსგავსეო ახმედი ყმაწვილს.

სასოფლო საბჭო. ხალხმა იეჭვა:
საით მიდიან? რა მხედრებია?
საბჭოს შიკრიკი მგზავრებს მიეჭრა:
— ზაბით ბარაძე არ შეგხვედრიათ?

— არა. — და ახმედს ესიამოვნა.
ჩანს, მასპინძელი პატივით ხვდება.
ნური შეწუხდა: — რა გზით წამოვა?
ასი ბილიკი იციან მთებმა.
— მოკვდა ძებნაში.
— გოგოს შენ ნახავ?
— თურმე გაქცევა უწინაც სცადა.
— არც იოლია თავის შენახვა.
— გზის მეტი რაა!
— სად წავა, სადა?
— იმ ბერიკაცთან ყოფნას, კაცმა თქვას,
მაინც დაკარგვა ერჩია, ძიავ.
— ლირას აძლევდა თურმე, სამ ათასს...
— კაცო, ეს ლირა მაღლიდან ცვივა!
„ალბათ, გოგო არ დათანხმებია...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და პირუტყვს შოლტი გადაუჭირა.
ახმედიც მიჰყვა ნურის მაგალითს
კარგად ვერ მიხვდა რა არის მის თავს.
თუმცა კი ხედავს, მისვლა ამგვარი
არაფრით არ ჰგავს სასიძოს მისვლას.
ბოლოს შეჩერდნენ ერთ მოსახვევში:
— კმარა ხიფათის მალვა და ჩქმალვა. —
ახმედს შეხედა ნურიმ სახეში,
შუბლთან შეუკრა დაშლილი ჩალმა
და წყნარად უთხრა: — მაინც ჩავიდეთ...
რაღაც მოსვლია უბედურ ზაბითს.
წამხდარი დროა... დარდს ნუ ჩაიგდებ.
კაცი არ კვდება ასეთი ამბით.
— ნური, ეჭვები არც მე მშორდება.
თუ არ გამოდის, გათავდეს აქვე.
— რაც არ წახდება, ის არ სწორდება,
იოლი საქმეც არ არის საქმე.

— არა...

— იტყვიან დაუწუნიათ,
არ შეუშვესო სასიძო სახლში. —
ახმედს ამ კაცის სიხლი სწყურია,
მაგრამ მის გეგმას როგორღა ჩაშლის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიშკარს მიადგნენ სამად მოხრილი.
ბეცი თვალები მოავლეს ოჯახს.
უმარილო და ერბომოხდილი
ღიმილით შეხვდა ღორჯომის ხოჯა.

— ბუირუმ...
— გმადლობთ. ზაბით სად არის?
გვინდა ჩვენც ჩავწვდეთ მასპინძლის ფიქრებს. —
და ნური, როგორც საქმის სარდალი,
გამბედაობას თანდათან იკრებს.

— მობრძანდით. გეტყვით. რა სამალია.
გოგო გაიქცა. დავდივართ. ვეძებთ. —
ნურიმ ჩაურთო: — დასანანია... —
ყველგან მონახეთ — მთაში და ველზე?

— ზაბითი ახლაც რაიკომში გვყავს,
დღეს საღამომდე ვიპოვით მგონი.
და უსათუოდ სახლში მოვიყვანთ
ნებით თუ არა, ძალით და ღონით.

სიძემ იფეთქა: — ჩემთან ასაღებთ?
ნური, მღალატობ! მაღალო ღმერთო!
ყველა გაურბის მკვლელებს, ყაჩაღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუ, შენს კაცობას, სინდის-ნამუსსა!
შენ კი აპირებ ბერიკაცს შემრთო?
მე არ ვშობილვარ ბეჩად და ლაჩრად,
მაგრამ... —
ახმედმა ისე მოუსვა,
რომ სახედარი კინაღამ დარჩა.

* * *

— არა, ვიღაცამ მართლაც დამთარსა,
ტყეში ვეძებო — ტყის ნადირია?
ო, მოვკლავ... მოვკლავ მასაც, თამარსაც,
მთელი სოფელი რომ გადარია. —
ზაბით ბარაძე ცოფს ყრის პირიდან,
ჰკითხავს მეზობლებს, დაეძებს ხევში.
მნახველიც არ ჩანს... განზრახ მივიდა
სოფლის სკოლისკენ გადასახვევში.
— ბიძი (შემოხვდა ერთი გოგონა),
მასწავლებელთან, სკოლაში იყავ?
— კი. გაკვეთილი გვქონდა მეგონა...
არც მესწავლა და არც მივსულიყავ.
— რატომ?
— გადაჰყავთ ჩვენი თამარი.
— „ჩვენი!“ რა იცი? — მოეშვა ლოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაფიქრდა. — მაგრამ ის თუ არ აღარ
ჭინჭრის ნამყოფზე ჭინჭარი მოდის...

ო, ის მანახა, იგი გულთარსი... —
და მერე ტონი აიღო ფრთხილი.
სკოლაზე უთხრეს:
— შენ და მურთაზი
რაიკომში ხართ გამოძახილი.
— იქით რაიკომს, აქეთ აღმასკომს,
მერე სოფლსაბჭოს, თამარს და მურთაზს...
რამდენს რა უნდა უკვე არ მახსოვს.
ო, თქვენი სული...
სხვა აღარ უთქვამს.
მიდის...
— ნამდვილად ქალმა დამალა
და ბინაში ჰყავს დროებით აქვე.
მდივანს გაანდო... ჰოდა ამანაც
ადგილის შეცვლით მოუწყო საქმე...
მერე რა მუშა გამძვრა ხელიდან.
რა უნდა ვუყო ხბოებს და თიკნებს!..
იქნებ მოუნდა ისევ ხევი და
ნანობს გაპარვას, ბაგესაც იკვნეტს...
არა, რაც მოხდა — ჩვენზე ახია.
ხელს შემიშლიდნენ, რატომ ვერ მივხვდი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე ბებერმაც ტკეპნა ავყიამ.
ახლა იჯდეს და ილოკოს თითი!
ეს ყველა ასე. მაგრამ რაიკომს,
ერთი ვიცოდე, რა უნდა ჩემთან?
ქვეყანამ იცის, როგორ რა იყო,
იმ გოგოს გამო რა ტანჯვა შემხვდა.
ის ხომ მშობლებმა ჩვილი დატოვეს...
ღმერთმა დაწყევლოს და შეაჩვენოს!
ნათესავებმაც აწვიმ-ათოვეს:
ეპატრონე და გაზარდე შენო...
და მეც თექვსმეტი წელი ვეწვალე,
შენ ჩემო სანდრო, შენ ჩემო კარგო...
ჰოდა, იოლად ახლა ვერ წავლენ:
გამიქციეს და პასუხიც აგონ!..
— აგონ! — ხმამაღლა დაადასტურა.
— აგონ! — თითქოს მტერს ესროლა ტყვია.
და ამ ფიქრებით ცენტრში გასულა,
ხულოშია და არც შეუტყვია.

ზაბითი შევიდა სანდროსთან,
და თვალს არ უჯერებს ახლა:
მდივანთან ყოფილა სხვა დროსაც,
ასე კი პირველად ნახა.
რა კარგი სალამი იცოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმილი უთბობდა სახეს...
დღეს ენთო ცეცხლივით, იწვოდა,
თვალებით ზარავდა მნახველს.
ზაბითმა სალამი ძლივს თქვა და
ბოდიში კბილებში გაცრა.
მდივანი ძალუმად სუნთქავდა,
უსიტყვოდ პასუხი გასცა
და მერე
— ფიქრიე სად არის, ზაბით? —
თოფივით გავარდა სანდრო.
ბარაძემ დაუშვა ორივე წარბი:
— აბა რა პასუხი გკადრო!
— მურთაზი სად არის? თამარი სად არის?
იქნებ მათ იციან?.. — ჰკითხე?
— მურთაზი არ იყო... არც იგი თამარი.
ხულოში არისო მითხრეს. —
და თითქოს ამ სიტყვებს უცდიდნენ,
მურთაზი შემოჰყვა თამარს.
— მურთაზ, შენ რა იცი?
— რა უნდა ვიცოდე?...
პატრონიც ეს არის, მამაც!
— „პატრონი“!.. რომელი პატრონი, ბიჭო?!
მე საჭმელს ვაძლევ და თქვენ სდევთ...
— ეს როგორ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მდივანთან გამოტყდეთ, ისა ჯობს...
პირდაპირ ეჭვი მაქვს თქვენზე.
— თქვენს შორის არ იცით არც ერთმა? —
მდივანმა სამივეს ჰკითხა.
და როცა თამარსაც შეხედა,
ქალს აღარ უცდია დიდხანს:
— ცოცხალი კია, მე ვიცი კარგად,
მაგრამ არ ვიცი, სად გადიკარგა.
სკოლის წინ შემხვდა. ბარგი მოეკრა —
ძლიერ პატარა ფუთა.
ვერ იკავებდა ცრემლებს.
მითხრა:
„მივდივარ. თავს არ მოვიკლავ.
გკითხონ — არავის უთხრა.
ყველაზე უფრო ჩვენებს“.
— მაშ, ცოცხალია!
— სად წავიდოდა?
ოთხივემ ერთად ამოისუნთქა.
ზოგს კიდევ რაღაც ეთქვა უნდოდა,
მაგრამ დუმდნენ და არავის უთქვამს.
ბოლოს დუმილის ხმაში
სანდრომ გატეხა ნავსი:
— ზაბით და მურთაზ! ჩვენი ბრალია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ ვეპატრონეთ, და როგორ ვერა —
კრებაზე ვიტყვით...
მაშ, ცოცხალია!
თამარს ეტყოდა. თამარის მჯერა... —
ზაბით წამოდგა აცრემლებული:
— მე წავალ! —
თავი დახარა მდაბლად.
როცა მდივანმა დაიცხრო გული,
ქალს შეეკითხა. ხმა დაიდაბლა.
— ეს ასე იყო, რომ მოგახსენეთ,
სიტყვა არ თქმულა ამაზე მეტი.
ბოდიში... წავალ. გულს მოვასვენებ...
მეტს ამ საქმეზე ვერაფერს გეტყვით.

* * *

ზაბით ბარაძე ვერ ისვენებდა,
ბორიალობდა ხან სად და ხან სად.
თვითონ უვლიდა თხასაც, ცხენებსაც,
ჭიხვინს ისმენდა ეზანის ნაცვლად.
— არა, ვინ არის დღეს გამკითხავი,
რომ შევჩივლო და ნაღველი ვუთხრა?
აღარც ბეგია, აღარც პრისტავი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხქვეშ ვეგები თამარს და მურთაზს
მოჯამაგირე მყავდა — აკრძალეს,
დუქანი მქონდა — დაკეტეს მაგრად.
ძმისშვილი ვზარდე — გამომაცალეს,
თითქოსდა უფრო უყვარდეთ მაგათ.
„აბა, დღეს წავლენ, აბა, ხვალ წავლენ“...
და ამ ლოდინში ამომხდა სული .
უნდა ვეფერო მაგ მაწანწალებს,
მაგათ მადას და უმაძღარ სურვილს.
მიწა იყო და... მიწა, წაიღეს,
ჯამე და ხოჯა — დევნიან მათაც.
კიდევ რა მიაქვთ, ვერც კი გაიგებ...
ახირეთია ნამდვილ და მართლაც.
გაუფართოვდა ბარაძეს თვალი,
შენიშნა მურთაზ, გზად მომავალი!
ხევში მივალო — მიუგდო ცოლს და
უკანა ღობეს გადააცოცდა,
რომ შაველაძეს დაუსწროს თავი,
ჰკითხოს სოფლის და ქვეყნის ამბავი.
მართლაც დაუსწრო. აღმართში შეხვდა.
— დაიცა, მურთაზ, სიტყვა მაქვს შენთან.
სალამი! სად ხარ, ბიჭო, ამდენ ხანს?
— სალამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, სოფლის გამგე ხარ
და გეტყვი, ვწუხვარ დღეი და ღამე:
იმ გომბიოსი თუ ისმის რამე?

— აბა, რა გითხრა, ზაბით ბიძია.
იქნებ, ხულოში მართლა იციან,
მაგრამ საქმე მაქვს, ათასი საქმე,
და რომ გავიდე, ვერ მიმიცლია.
— თუ გული გულობს, კაცი მიიცლის.
ანდა რა ხულო... თამარმა იცის.
— არ ვიციო და... კიდევ ვიკითხავ.
გავიგებ, გეტყვი. მშვიდობით იყავ.
მურთაზ წავიდა.
ბარაძე კი დგას.
რად გაიქცაო, არ მოეწონა.
— თუ ზაბითა ვარ და სული მიდგას,
მე შენ...
ოქრო მაქვს მაგისი წონა!
ეს კი... გამირბის... დიდი კაცია! —
გააფურთხა და ტყისკენ გასწია.

ზაბითთან არ სურს მურთაზს შეხვედრა,
თორემ არსად არ ჩქარობდა სულაც.
ცოტა იარა. სკოლას შეხედა,
მერე, გონებით, იმ კრების სურათს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალწინ დაუდგა თამარ, ფიქრიე...
მერე დალოცა ზაბითის ნახვა:
რატომ აქამდე არ უფიქრია?
მისვლის საბაბი მიეცა ახლა.
— არა, დათმობა უკვე არა ღირს.
როდისღა ვიტყვი, ახლა რომ არ ვთქვა!
და განვლო სკოლის ეზო, პარმაღიც,
ერთთავად შედგა ოთახის კართან
— აა, მობრძანდი მურთაზ, შენა ხარ?
რომელმა ტალღამ, რომელმა ქარმა? —
მაგრამ დღიურის ყუთში შენახვა
ველარ მოასწრო მღელვარე ქალმა.
— თამარ, მე წუთით მოვედი. —
დღიურს დაუწყო ფურცვლა. —
რატომ არა ვარ პოეტი,
ლექსს ჩაგიწერდი... თუმცა...
— თუმცა რა?
— ვიცი, დახევდი...
მაინც იმ შავი დღიდან...
აბეზარის და თავხედის,
ალბათ, არც ლექსი გინდა.
ახლა... რა იცი ფიქრიეს?
— ჯერ ჩემი უნდა გეკითხა.
— ეჭვი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არც კი მიფიქრია...
— აბა, რა უნდა მეკითხა?
შენ ყველა ქალზე მეტი ხარ.
შენ... თვითონ იცი რაც ხარ.
დე, გასკდეს გულის კარები:
შენ მნათობი და ცა ხარ,
შორი და მიუკარები.
შენ ჩემი სულის დგმა ხარ...
თამარ, გული არ დაცხრა.
თამარ, მითხარი რაცხა.
თქვა და ვაჟკაცის თვალებში
დასველდა გულის გამოცდა.
ქალიც ჩაეკრა ალერსით,
თვალი და ცრემლი დაკოცნა.

* * *

რა მთა, რა გზა გადმოვლო,
არ დაღლილა, პირიქით,
უფრო მარდად დაკეცა
ბოლო მთა და ბილიკი.
ახლა იგრძნო სიამე,
რაღაც თავდავიწყება:
ეს ფერდობიც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შემდეგ მშენებლობა იწყება.
ჩაირბინა. შეჩერდა.
ხალხს შეხედა უჩუმრად.
და სინანულს შეება, გულში რომ აჩურჩულდა.
— ნენე!
ერთი ქალი და უამრავი კაცია.
ქალიც მათთან მუშაობს და...
შარვალი აცვია!..
ზის ფიქრიე ღელეში,
სად შლამია გაშლილი.
ზის და გული ფართხალებს
ფრთადაჭრილი შაშვივით.

იცდის... ბოლს ეშველა:
აქეთ მოდის ის ქალი.
ქალი არა მხსნელია და ნანატრი ცისკარი.
სიხარული ატოკდა ლაქაშიან ღელეში.
— მომეშველე! —
მაგრამ ის ვერ მიუხვდა, ხელებს შლის.

მოიფიქრა ფიქრიემ,
მოიშველა მუნჯური:
— მინდა მუშად მიმიღონ. — მიაყოლა ჩურჩულით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსაუბრე იცინის,
არ იცისო რუსული..
და უფროსთან შეუძღვა ქალი მზით შეტრუსული.

* * *

ვიწრო ოთახში სამი კაცია —
ჭაღარა, ბობრი და ახალგაზრდა.
ორნი სხედან და წერენ რაღაცას,
ბობრი დახრილი ზომავს და ხაზავს.

ქალი დაიბნა და აკანკალდა.
სამ უცხო კაცთან იგი მარტოა.
არ იცის გული უსკდება თუ ძგერს.
კედელს შეხედა. ღონე კვლავ აღდგა:

დიდი ბელადის პორტრეტი უცქერს,
სოფლად გუშინ რომ კლასში დატოვა,
და თავი ისე სწრაფად ასწია,
რომ თავსაბური დაეშვა ყურთან.
მერე რაღაც თქვა, მაგრამ არ იცის —
რომელს უთხრა და რა სიტყვა უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაზე მოსულხართ? — კოპაძემ ჰკითხა,
რომლის პირდაპირ ფიქრიე იდგა.
— მუშად მოვედი... და უნდა გითხრაო —
გამოპარული გახლავარ მთიდან...

გამოპარული? — საათს დახედა. —
ეჰე... რა გქონდა გასაპარავი?
აბა, შალიკო, მაგვიანდება.
შენ იყავ მისი მწე და მფარავი —

თქვა და უფროსი სწრაფად გავიდა.
ვაჟი წამოდგა, შეჩერდა წამით.
მოსულს ღიმილით მისცა სალამი
და მერე ახლოს დაუდგა სკამი.
— თქვენი სახელი?
— ფიქრიე.
— გვარი?
— ბარაძე.
— მართლა?!
— მთისპირელი ვარ.
— აი, შემთხვევა გასაოცარი!
— რატომ?
— ეს მართლა საკვირველია!
თქვენ ობოლი ხართ და ბიძა გზრდიდათ?
— კი... მაგრამ ეს თქვენ საიდან იცით?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მერე მიგყიდეს ბერიკაცს, მდიდარს? —
ქალი უარობს, სირცხვილით იწვის.

თანაც ეჭვები წამოეშალა:
ნუთუ ხიფათი მოელის აქაც?
უკან გაბრუნდეს? იფიქრა ქალმა.
მაგრამ სოფელში, ბიძასთან რა თქვას?

ამ დროს ხმაური მოისმა კართან
ხმაურს შემოჰყვა მოხუცი ლაზი.
— შვილო, შალიკო, — სკენდერმა თქვა და,
ქალს რომ შეხედა, გაუწყდა აზრი.

— ჰო, მოდი.
— ბიჭო, მარტო მეგონე.
— მამა, შენთვის ხომ ღიაა კარი.
მერე ახალი მუშა გოგონა.
ეს ქალიშვილ ხულოდან არის.

გუშინ თქვეს ერთი კრების შესახებ,
ეს ქალიშვილიც ახსენეს თანაც.
შეიბრალეს და ისე შეაქეს,
ვთქვი, ნეტავ ვინმეს ჩამოეყვანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აბა, საკრებო, ქალო, რა იყო?
აქ გამოგიშვეს? სასიამოა.
— ეს პირველია, — უთხრა შალიკომ. —
და მალე ბარე ასიც ჩამოვა...

შენ რა გინდოდა?
— შალვა მენახა.
წუხელ ფიქრებმა წამართვეს ღამე.
სადაც შალვაა, სადაც შენ ხარ
იქ სამუშაო მეც მინდა რამე...

— შინ ვერ თქვი? ღამე ისეც გრძელია...
— შინ სად ხარ! ტყვილად აშენებთ ბინებს.
— რა ვქნა, შენების მასპინძელი ვარ
და, აბა, სახლში რა დამაძინებს!

— ჰო, კარგი... —
ქალ-ვაჟს მალულ შეხედა.
და რაღაც აზრი ლაპარაკს უშლის.
შალიკოს ლოყა რაღამ შეღება?
მოხუცს რა ცეცხლი აენთო გულში?

— პასუხი მალე უნდა გავიგო...
ახლა ფიქრიეს შეხედა ისევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კარგი სარძლოა“
და თან წაიღო
მისთვის ჩვეული სიდარბაისლე.

შალიკო ბობრ კაცს არ დაერიდა:
— მუშებმა იწყეს... ვიმარჯვებთ ახლა.
ეს — აჭარელი ქალი მთებიდან,
ის — მამაჩემი სკენდერი გახლავს!

ქალი კი დგას უსიტყვო და გარინდული,
არც რუსულად თქმული სიტყვა გაუგია.
ბიჭიც მოსწონს, მისი ქცევაც რაინდული,
მაგრამ ფიქრობს:
აქ ჩამოსვლით წაუგია...

— რა გაწუხებს, რა ნაღველი, რა დარდი გაქვს?
გამოერკვა.
— მე დამალვა განვიზრახე..
აქ კი ისევ ნაცნობებში ჩავვარდნილვარ,
თავშესაფარს დავეძებ და ვეღარ ვნახე...

—შენ ნუ წუხხარ. სად გიჭირდეს—თქვი და იქ ვარ.
შენს წარსულზე არ იფიქრო კრინტის დაძვრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარს შეგიცვლი... ვინ გაგიჟდა, ვინ გაიგლო
ის ველური ქორწინება თუნდაც აზრად!

— მჯერა, მჯერა.. მაგრამ რაღაც არ გამოდის...
კომკავშირი მემტერება... საქმეს დაშლის...—
და გაგრძელდა ეს ყოყმანი საღამომდი.
დილით:
გული ქორაძეა ბრიგადაში!

* * *

დილით შალიკოს მიჰყავს ჯგუფები,
არიგებს მუშებს და ათისთავებს:
ზოგი სახლს აგებს, ზოგი ქვაფენილს,
ზოგს თხრილი გაჰყავს და ასუფთავებს.

აგერ მუშები გზას შესევიან —
მადა გაიხსნა, შრომა გაქანდა,
მატარებელი უნდათ თავისი
ჰყავდეთ ქარხნიდან თვით ქალაქამდე.

ჯემალის ჯგუფზე უფროსებს უთქვამთ —
ყველაზე მხნეა და მაგარიო.
გამოუყვია სწრაფმოქმედ ჯგუფად —
პუნქტი ააგო სამალარიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფილან ცალკე ქალები,
სანავთსაცავეს წმენდენ გორაზე.
აქვე არიან კომკავშირლები,
ვერა შპაკი და გული ქორაძე.

გულიკო ვერას ვეღარ შორდება
და არც ერთმანეთს ერიდებიან.
ერთად დადიან, ერთად შრომობენ,
უყვართ ურთერთი, თითქოს დებია.

გულიკოს მოსწონს ქალი ცისთვალა,
ვერა მის თვალებს მელანს ადარებს,
გულიკო ნატრობს ვერას ქერა თმას
და ვერა — გულის გიშრის დალალებს.

* * *

დღეს შალიკომ შეაჩერა ქალზე მზერა.
ახსოვს, მაგრამ მაინც ჰკითხა სახელი.
დააცქერდა: ქალი არა თითქოს მზეა,
მთით მოსული სილამაზის ჩანჩქერი.
უნდა რაღაც კიდეც თქვას და არა სჯერა,
რომ არ მოდის გამიზნული სათქმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბა, ქალებს ასეთს რას გამოაპარებ!
ის აკლიათ — გააშუქონ გული ბარემ.
რას უშველი, გულს რა ფარდას მოაფარებ,
მით უმეტეს, როცა იწვის შიგ და გარეთ!

და გულიკომ წამსვე იგრძნო ვაჟის გული,
იგრძნო — ვაჟმა რა მორევში შეტოპა,
მოარიდა თვალი წამწამდაგიშრული
და ვერა შპაკს მიუბრუნდა, მეგობარს.
ეჭვიანი და ფრთხილია ქალის გული:
გულს იცნობს და მაინც არ დაენდობა.

მაგრამ ახლა არც სიფრთხილე, არც ეჭვია,
მისი გული სულ სხვაგვარად ატოკდა.
წასულ დღეებს სოფლის ქედზე დაეწია
და სიმღერა მოაგონდა რატომღაც:

„შავი ზღვის პირას შავი კოშკია,
ჩემ შეყვარებულს შალიკო ჰქვია...“

ეს სიმღერა თამართანაც მთაში უთქვამს,
მაგრამ მასში ვერ ხედავდა სადარდოს.
უთქვამს ისე, როგორც ყველას... და მის გულთან
ეს სიტყვები არ მისულა არასდროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კი გრძნობს გულის ტკივილს,
თითქოს გულში ვიღაც კივის:
„შავი ზღვის პირას შავი კომკია,
ჩემ შეყვარებულს შალიკო ჰქვია...“

სკენდერ ლაზმა ძლივს აიღო ალმართი
ხშირი სუნთქვით და ხელჯოხის ბიჯებით:
— ბიჭო, სად ხარ! დაგეძებენ, წამოდი,
ცეკაა და კიდევ ჩვენი ბიჭები.

ტექნიკოსმა წამს დატოვა გორაკი,
ქალებს უთხრა:
— ყოჩაღ, კარგად მუშაობთ! —
ბილიკ-ბილიკ საქარხნო კანტორამდი
მამა ჯოხით მისდევს, როგორც გუშაგი...

ვერა შპაკი ჩაეხვია ქართველ დობილს
და შავ თვალში თავის სახეს შეხედა.
გულიმ იგრძნო ამ ცქერაში დაუნდობი
ღიმილი და ეჭვიანი შეხება.

* * *

უმთვაროდ ოდნავ ბნელოდა —
ცას ვარსკვლავები ფერავდნენ.
შუქრი დევაძე ბოლომდე
უსმენდა შალვა ფერაძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისხდნენ ჟამთასვლის ურჩები
აღმზრდელივით და ბავშვივით:
მდივნები ორი უჯრედის —
პარტიის და კომკავშირის.

დევაძე, როგორც მოწაფე,
იმახსოვრებდა, იწერდა:
რა საკითხია სასწრაფო,
და როგორ ითქვას ბიჭებთან.

უკვე ეძინათ უბანში,
აქ კი კვლავ იყო თათბირი,
და ორთა ტკბილ საუბარში
ღამე დნებოდა თაფლივით.

ბოლოს წამოდგნენ. მოთავდა,
რაც იყო ახლა სათქმელი.
ზეცას შეხედეს თაღიანს
და ერთ ფანჯარას თვალღიას:
მარტო გულიკო ათევდა,
მარტო მას ენთო სანთელი.

— კიდევ აქტივობს ძალიან? —
დევაძეს ჰკითხა მდივანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთელი უჯრედის თვალია.
რა ბედმა ჩამოიყვანა!..

რამდენი ძალა ჰქონია ამ ქალს!
უცქერ, გოგოა — მშვიდი და წყნარი...
თურმე კვესია საჭირო, თორემ
ქვასაც ცეცხლი აქვს და ნაპერწკალი.
კვესიც დაკრეს... და აჭარელ ქალში
მიძინებული დაიძრა ძალი. —

— დიახ! — დასძინა კომკავშირელმა, —
მოსვლის დღიდანვე ესწავლა სურდა.
დღეს, ვერა შპაკის გასაკვირველად,
მასაც გაუსწრო, დაწინაურდა.

— ახლა ისა თქვი: თუ შეძლებს
ისწავლოს ბაქოს კურსებზე?
— თამამად! — დაუდასტურა
დევაძემ კანდიდატურა.

მერე შეხედეს ნავახშმევ მთვარეს,
დაბლა — რკინის და ფოლადის გროვას.
და დაავიწყდა თითქოს ორთავეს,
რომ რახანია დაწოლის დროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მალე, სულ მალე ქარხნის გუგუნი
ხალხის სიხარულს აიტანს ცამდე.
ფრთას შეისხამენ ჯემალ და გული,
ბურუსში მყოფნი რომ არა ჩანდნენ...

— მაგრამ ქვაბები? — ჩაურთო შუქრიმ.
— გამოგზავნიან ადრე თუ გვიან.
თქვა და ფერაძე ოცნების შუქში
თითქოს მანქანის ისმენდა გრიალს.

კომკავშირელიც გათბა იმედით,
გაჰყვა ოცნებას ვარდისფრთებიანს.
აკი შემქმნელი და შემოქმედი,
პირველ ყოვლისა, მეოცნებეა.

4.

ტყეს სიყვითლე შეეპარა, მწვანე ფარჩას იცვლის,
შემოსული ნარინჯები დახუნძულა ქარვით,
და უჩუმრად, როგორც ჩვენში შემოდგომამ იცის,
დაბლა ფოთოლს, მაღლა ღრუბელს არ ასვენებს
ქარი.

მოუთმენლად მოელოდნენ დაკვეთების მოსვლას,
მოელოდნენ გამოწერილ მანქანებს და ქვაბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელოდნენ, არ ჰქონიათ ფიქრის დრო და მოცლა:
ვინ მიწას თხრის, ვინ სახლს ხურავს,
ვინ ლიანდაგს აგებს...

უკვე უბანს შესევია ელნათურის ჯარი,
უკვე საყვირს შეუცვლია მშენებლობის ზარი.
სამმართველოს შენობაში აღარ წვიმს და არ თოვს,
ლაზიც ახალ კაბინეტთან იღიმება ფართოდ.

და მშენებლებს საოცნებოდ დარჩენიათ ახლა
მანქანები...

მანქანების მიღება და ნახვა!
კოპაძეს დანა პირს არ უღებდა,
ბოლოს აშკარად დაეტყო ღელვა:
დაკვეთა არ ჩანს. ეს აწუხებდა.
ვადა გავიდა ოცდარვა დღეა.

ღელავს შალიკო, შუქრი. ორლოვი,
წუხან ბაქოდან დაბრუნებულნი.
ეჭვებს და წუხილს ველარ მალავენ
ლაზი, ჯემალი, ვერა და გული.

უბანში თითქოს ნისლი ჩამოწვა.
ერთი ამბავიც დაერთო ნაღველს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკენდერის ყოფილ კარმიდამოსთან
ორი საეჭვო უცნობი ნახეს.

მერე გავრცელდა ხმები ახალი —
მოსკოვს ადგილი აღარ მოსწონსო
და მალე ყველა მედაბახანეს
დაუბრუნებენ სახელოსნოსო.

გახშირდა თრობა, ჩუმი ლანდები,
გაჩნდნენ მუშებში სიმულანტები:
ავადმყოფობით და სხვა საბაბით
წასვლას ითხოვდნენ თავიანთ სახლში.
ჩანდა — ობობა შავ ქსელს აბამდა,
ემუქრებოდა ქარხანას დაშლით...

მაგრამ ფხიზლობდა ორი თაობა —
კომუნისტები, კომკავშირლები:
ახალ აზრსა და საქმეს თაობდნენ
ახალ ამბებთან დაკავშირებით.

შალვა და შუქრი რაზმებს თაობდნენ.
შეკრული იყო ღამით უბანი,
ყველგან და ყველას უთვალთვალებდნენ,
სადაც კი მტერზე ჰქონდათ გუმანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს გულიკო და ვერა შპაკი
ღამით წააწყდნენ ჩალიან ურემს
და გადაცმული ორი ქოფაკი
გადასცეს მცველებს და მეთაურებს...

* * *

ზღვას დასწოლოდა ოდნავი ბური.
მთვარე კი მაღალ მთებს მიაჩერდა,
თითქოს იცოდა, რომ ახლა გული
იქით გასაგზვან სტრიქონებს წერდა:

— ღამეა, თამარ. გამიკრთა ძილი
და თითქოს ახლაც შენი ხმა მესმის.
ჩვენს შორის ჩადგა დრო და მანძილი...
მე მომენატრა შენი ალერსი.

ღამეა. გვერდით დობილი მიწევს.
მთვარის კაშკაშში სხედან უბნები.
ამ ბარათს ისე გულღიად გიწერ,
თითქოს თავისთავს ვესაუბრები.

ღამეა, თამარ. ქვეყანას სძინავს.
არც ერთ ბინაში შუქი არა ჩანს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ გვძინავს მხოლოდ მე და ჩემ ბინას .
თითქოს ქვეყნის ძილს ვედგეთ დარაჯად.

დედაო, თამარ! ასე გიწოდებ,
თუმცა მე და შენ ტოლი ვართ წლებით.
მე წიგნით ვებრძვი გადასულ ცოდვებს,
ვშრომობ და ვსწავლობ თავდავიწყებით,
აქ ყველას უკვირს, ქარხნის უბანში,
და გაგიკვირდეს, იქნება, შენაც,
ისე ვისწავლე ამ მოკლე ხანში
წიგნიც, ტექნიკაც, რუსული ენაც.

ხელფასი მაქვს და ნამდვილ არ მშია,
ბაქოს კურსების ღირსებას ვიცავ.
სულ ერთი თვეა პარტიაში ვარ
და ათისთავი მშენებლობისა,

ჰო, ჩემო თამარ! მე არ მძინავს და
გვერდით ივივე დობილი მიწევს.
ღამის პეპელა ფანჯრის მინასთან
ზის და, მგონია, სტრიქონებს იწერს.
ნეტავი მართლაც შესაძლო იყოს,
შენთან მოფრინდეს, ამბავი გითხრას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი კალთიდან აფრენილიყო,
ისიც შეძლებდა წერას და კითხვას!
მე შენს მადლიან სულს ვენაცვლები,
იმ დროის ამბავს ერთს ვეტყვი მხოლოდ:
თმით ნათრევი და ჯოხით ნაცემი
ბათუმში მოველ ბოლოს და ბოლოს.

ჰოდა, ჩემ ცაზე უშრეტი მზეა,
ეს რა სინათლე ნახეს თვალებმა!
ბედნიერების იმ წერტილზე ვარ,
როცა კაცს მტერიც კი ებრალება.

და აღარ ვწყევლი ზაბით ბიძიას,
მის დამქაშებს და დამხმარე პირებს.
მარტო მეგობარს რა შეუძლია,
ვინმე თუ არ გყავს, მოპირდაპირე!

დედაო თამარ! მე ასე მწამხარ
შენი ღვაწლით და პატივისცემით.
ერთი მომიკვდა, მეორე მყავხარ,
შპაკი მესამე დედაა ჩემი.

დატუქსვაც იცის, სულსაც მენდობა,
თავს არ დაზოგავს, თუ მიჭირს რამე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, თურმე ბედმა და უბედობამ
თანაბრად იცის უძილო ღამე!

ჰოდა სანამდე დილის ლამპარი
უბანში გაშლის ატლასს და ფარჩებს,
არ მინდა, შენთან ერთი ამბავი
გაუმხელი და უთქმელი დამრჩეს:

ერთი ყმაწვილი... (ტექნიკოსია...
მშენებლობაზე, ჩვენთან).
არ გაიცინო... სხვასაც მოსვლია...
მოველ, პირველი შემხვდა.

თავაზიანი, მაღალ-მაღალი,
სახე — ნახატი კალმით...
და შემეყარა დარდი ახალი,
მიყვარს. გავგიჟდე ლამის.

მასაც ვუყვარვარ, კარგად ეტყობა.
და ვერ ახერხებს მნახოს.
შპაკი უყვარდეს — ხელად ეტყოდა:
ჭასთან უფროა ახლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კი...
მოვიდა. ენა დაება.
ლოყაც აენთო წითლად,
მაგრამ არ ეყო გამბედაობა
და...
ნახვამდისო ძლივს თქვა!..

მახსოვს, შენთან რომ ჩუმად ვმღეროდით...
ახლა გამართლდა, გვიან.
ამაზე უფრო სიკვდილს ველოდი:
მართლაც, შალიკო ჰქვია!

თამარ! დედავ და მასწავლებელო!
ისევ ახლოს ხარ გულთან.
რამე მირჩიე, შენ შემოგევლე:
ისევ ვითმინო თუ ვთქვა? —

ამ ბოლო სტრიქონს ხაზი გაუსვა:
— სულიც ამოსძვრეს მეტი!
ისე იხაროს მისმა ნამუსმა:
„ვკვდები, მიყვარხარ-მეთქი?!“

აქ დაუკვირდი მთავარს:
ხომ მართალი ვარ, თამარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5.

სიხარული მოსდებია მშენებლობას,
მაისია თუ დამლევი ნოემბერი!
თითქოს ველზე ეს-ეს არის გაიშლება
კვირტები და ყვავილები ნაირფერი.

— ხომ ეშველა?
— როგორც იქნა!
— კი, მოსულა.
— დავიჯეროთ?
— მართლა, თითქოს არა მჯერა!
ჩაუარა და ღიმილით სხივმოსილმა
გულიმ ჯგუფზე ორივ თვალი შეაჩერა.

— მოდის! მოდის! —
შეიძახეს თითქმის ერთხმად,
და ყიჟინამ შესძრა თითქოს მიწა.
მატარებლის ქშენას ვაშა შეუერთდა
და სადგურში უკვე გრგვინვად იქცა.

ეუცხოვათ უცხოელებს და არ სწყინდათ,
რომ არ იყო მთელ სადგურში სმენა ყურთა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ თვალი კოპაძეს რომ გაუბრწყინდა,
ჩამოსულმა ჩამოსულსვე ჩუმად უთხრა:

— ველურები... ჯერ მანქანა არ უნახავთ
და ამიტომ ზეიმობენ, ვერ დავძრახავთ...
ყური მოჰკრა კოპაძემ და მიუბრუნდა,
ინგლისურად უთხრა, გესლიც არ დაზოგა:
— ვწუხვართ, მისტერ, რომ გაგვიგე ასე ცუდად-
ვწუხვარ, თქვენთვის უცნობია ჩვენი გრძნობა!

— როგორ განა სხვაგან ცოტა ავაშენეთ?
ის მანქანა სხვა ფოლადის, ან ხისაა?
— მოკლედ, მისტერ, მაგრამ მიზეზს მოგახსენებთ:
ეს ქარხანა ჩვენი, თვითონ ხალხისაა!

ჭირვეულად წუწუნებდნენ მუდამ,
ხან ეს უნდათ, ხან იგი არ უნდათ,
ხან წყევლიან დაულეველ წვიმას,
ხან რთულ გეგმას აყენებენ ახალს,
იწუნებენ სადილსა და ბინას
ანდა ახალს აკეთებენ ნახაზს...

მაგრამ რაა წვიმები და დელგმა,
ან თოვლი და მოქნეული ქარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ადრე სრულდებოდა გეგმა,
თანაც ტემპი უფრო იყო ჩქარი...

ხუთდღიურის შედეგებმა
განაცვიფრა უცხოელი:
— ასე კარგად მიდის გეგმა
და თქვენ კიდევ მეტს მოელით?!.

— ჯერ ცოტაა! — კოპაძემ თქვა, —
საქაღალდე გადუშალა.
— ეს რაღაა?
— მუშის გეგმა
და საბჭოთა მუშის ძალა!

იქ მდგომ თანამემამულეს
გადახედა მალვით სმიტმა,
დაატანა ძალა ღიმილს
და არ უთქვამს მეტი სიტყვა...

ერთ დღეს სმიტი აივანზე
ფიქრს წაეღო დაღვრემილი:
ორმოცი დღე, ორმოცდარვა
და მზადაა ქარხნის მილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ჯარიმა, არც მათრახი,
არც უფროსი ვინმე მკაცრი...
არა, ვფიცავ, ჩვენში ამას
სამჯერ მეტი უნდა კაცი!

ან ის ქალი... ღმერთო ჩემო!
რა მკვირცხლია, რა ნაზია!
ჩვენში განთქმულ ლამაზებზე
ბევრად უფრო ლამაზია...

მიწას ჩიჩქნის, ქვაბურებს თხრის,
ხშირად მიდის სხვებზე წინაც...
არა, ნეტავ იმის მიზნებს
და მის ფიქრებს ჩამაწვდინა!..

და ის ქალი. მითხრეს, შარლის
მომავალი მეუღლეა.
— ნოუ! მითხრეს, რომ ის ქალი
პარტიაში მიუღიათ.

არა! ნამდვილ ტყუილია.
აბა, როგორ იქნებოდა?
ასეთ მუშას და ანგელოზს
რა ებოლშევიკებოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღაც რთული სიყალბეა,
ვერ მივხვდი და გულზე ვსკდები.
აბა როგორ შეიძლება
რუსეთი და ეს ტემპები!..

* * *

მძიმე ზამთარს მძიმე მოყვა გაზაფხული,
კოლოებმა დაიუფლეს მშენებლობა.
განახევრდა მუშახელი გაწაფული
და ფიქრობდნენ, მუშაობა შენელდება.

მაგრამ არა. თუ ხარ ნამდვილ საიმედო,
რა ციება! მოიხდი და ფეხზე დგახარ.
ოღონდ კაცის, ჩვენი კაცის გული გედოს,
და სიძნელეს — თვით სიკვდილსაც გადალახავ!

ჰოდა მაინც... თუ ჩამორჩა ვინმე ოდნავ,
შველოდნენ და თავსაც ძალას დაატანდნენ.
ასე შრომით გეგმა მაინც სრულდებოდა
ასზე მეტი — ასოცდაათ პროცენტამდე.

შეტევები ჩაღდებოდა ყველა ფრონტზე,
ხალხი იყო იმედი და დასაყრდენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დროზე კეთდებოდ ყველაფერი —
ნავთსაცავი, მილები თუ წყალსადენი.

6.

ღამისნათევი და უძინარი
შალიკო კართან შეხვდა ქალიშვილს,
— ბიჩო, უტხარი, სახლში ვინ არის
შალიკო ლაზს ან შალვა ლაზიშვილს?

ასეთ ქართულზე ვაჟს გაეცინა:
— ლაზი მე არის. რა უნდა გიტხრა? —
კონვერტი მისცა. ვაჟმა დახედა,
მხრები აჩეჩა, თავი დახარა.

— უცნაურია !— დაიწყო კითხვა:
„ქალაქ ბათუმში. ნავთის ქარხანა.
მშენებლობაზე. მესამე ბინა, —
მერე დამარცვლით, რომ მოესაზრა:
შალიკო ლაზს ან შალვა ლაზიშვილს.
ხულოდან. სკოლა. თამარისაგან“.

— ვინაა ჩემი ბინა რომ იცის?! —
პარმაღში მამას შეხვდა ჯოხიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, ბიჭო? — იკითხა მამამ.
შევიდნენ. კონვერტს თავი მოხია
და მამას პასუხს ეტყოდა სანამ,
ხედავს, კონვერტში სხვა კონვერტია.
და გული მკერდში არ დაეტია...
კითხულობს იმავ ხელით წანაწერს:
„საკუთარ ხელში გული ქორაძეს“.

მამა შვილს უცქერს გაოცებული:
— ორია ერთად?
— სხვისია ერთი.
— მახე არ იყოს აქ დაგებული.. .—
მოხუცი ღელავს ვერ უძლებს მკერდი.
— ვინ არის? თამარ!.. სკოლა და ხულო?..
— ალბათ, ის გიცნობს. მომხდარა ბევრი...
„გაგიკვირდება, — ვაჟი კითხულობს, —
უცნობი ქალი გიგზავნის წერილს“. —

მერე სტრიქონებს ჩასდევს უჩუმრად.
მხოლოდ დროდადრო ამოიძახებს
ხან ხმამაღლა და ხანაც ჩურჩულით,
ზოგიერთ სიტყვებს, ფიქრიეს სახელს.
„თქვენი თამარი“.
დასვა წერტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვალი მოხუცს მიაპყრო ახლა.
მერე გაშალა ისევ წერილი,
ზოგი ადგილი მესამედ ნახა.

— შვილო, ეტყობა, რაღაც კარგია.
მაგრამ ფიქრიე სადაურია?
ვინ გაქცეულა? რა დაკარგვია?
რა დაიწვაო? ვის ემდურიან?

— მამა, სჯობია გითხრა ახლავე:
იგი ფიქრიე გულიკო არის.
ბიძას გაექცა... და რას ნახავენ —
აქ შევუცვალეთ სახელიც, გვარიც.

— მერე?
— ისაა, მამავ, მთავარი,
რაც დიდი ხნიდან ვიცი:
გულის ვუყვარვარ, — აქ წერს თამარი. —
მეც გულიკოსთვის ვიწვი!

— გული.. გულიკო...რას მოვესწარი!
წადი, რას უცდი? მომგვარე სარძლო!
მისი ნატვრა მაქვს მე წინასწარი.
მითქვამს: უმისოდ ვერ უნდა გავძლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე... ახლა კი... გვაგვიანდება. —
და თან ყურს უგდებს შალიკო გრიალს.
იქ მშენებლობის ხმა გრიალებდა.
მამა და შვილი მივიდნენ გვიან.

თავისი პოსტი ნახა მოხუცმა,
წვერ-ულვაშებში ვერ მალავს ღიმილს,
და ეჩვენება: ღიმილს მოუცავს
კარიც, კედელიც, ქურთუკის ღილიც.

შალიკო გულის ჭვრეტდა ჩუმ-ჩუმად,
ხან ფიქრში ისე უძრავად ესო,
რომ შპაკმა დობილს წაუჩურჩულა —
შეყვარებულს გავს ეს ბიჭი დღესო.

რაღაც ჯიუტობს დრო დღევანდელი,
საათიც უფრო ტაატით მიდის.
წუხან არწივი და შევარდენი —
ლაზიშვილები — პატარაც, დიდიც.

მაინც მოხუცი ისე ცეტობდა,
რომ ნაშუადღევს ფერაძემ ჰკითხა:
— რაღაც ამბავი არის, გეტყობა,
ნუ დამიმალავ, შვილსავით მითხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ეს აკლდა მოხუც ლაზიშვილს,
რომ შვილის საქმე შალვასთვის ეთქვა:
— გეტყვი, შალიკოც კი არ დამიშლის.
ან უფრო სანდო ვინ მომცა ღმერთმა! —

გვერდზე გაიხმო. კარი დატოვა.
დერეფანს თვალი მოავლო კარგად.
და რომ დარწმუნდა, მასთან მარტოა,
მთელი ამბავი ამოალაგა.

— კარგია-მეთქი?
— მზეა და მთვარე.
— მაშ შენი აზრით...
— მომილოცნია!
— დღეს რვა საათზე სახლში მომგვარე:
წერილი გვაქვს და არ მიგვიცია.

— ეს ჩემზე იყოს, სასიამოა,
თანაც ადვილი სამსახურია.
მაგრამ ის მარტო ხომ არ წამოვა...
შპაკსაც მოვიყვან... უხერხულია.

შეთანხმდნენ.
მამამ შვილსაც აცნობა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ბინა მორთონ დაღამებამდე,
მერე შეაქეს შალვას კაცობა,
როგორც ყოველთვის აქებდნენ ადრეც.

* * *

ბინა ჩახჩახებს ჭაღანთებული,
აბზინდა ჭერი და იატაკი.
შალვა შემოდის. მოჰყვება გული
და იმათ შემდეგ შემოდის შპაკი.

შალიკოს ძგერა დაუწყო გულმა.
— დაბრძანდით! —
თითქოს ცა ჩამოიქცა,
ათრთოლებულმა, აწითლებულმა
ხელში გულიკოს ბარათი მისცა.

— თამარისაგან?! სად? რატომ? როგორ? —
აფორიაქდა ფიქრიე გოგო.
ზურგით მონახა კედელი, კუთხე
და ვერა შპაკი გვერდით მოისვა.
მოვკვდი, თუ ახლავ არ წავიკითხე,
მაპატიეთო, მოიბოდიშა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„შენ მისამართს არა მწერდი,
ჩემო გოგონა.
კონვერტს, ბეჭედს დავაცქერდი...
როგორ გეგონა?

მაქ ერთია ეს ქარხანა,
ალბათ გულიკოც.
ტექნიკოსი — სად ნახულა
დაკარგულიყოს!

არ იფიქრე: თუ ჩემამდი
მოდის ქაღალდი,
მთას შევძრავდი, ბარს შევძრავდი,
მაინც გნახავდი?

რომ კარგად ხარ, ცოცხალი ხარ —
სანდროს სცოდნია.
ახლა მითხრა. მასაც უთხრა —
ზაბითს ცოდვიანს.

კახაბრამდე მეც ვიცოდი
შენი გზა-კვალი.
მწყემსი ვნახე, ქურთის ცოლი,
შენი წამყვანი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰოდა, მორჩა ეს ლეგენდა,
კუკუ-მალვია.
შენს შალიკოს მივაგენ და
მომწონს ძალიან.

მოგილოცავთ. რა ვთქვა მეტი!
ვწერ და მიცქერენ...
სხვას შალიკო თვითონ გეტყვის,
თუ რა მივწერე".

— ჰა, წერილი.
და ფიქრიე
უხმოდ კითხულობს.
თვალწინ დადგა მთა, მთისპირი,
ხევი და ხულოც.

— ოჰ... რა ვუთხრა მაგის სინდისს!..
ვაი სირცხვილო!
ეს ვინ უთხრა — სული მიმდის,
ვკვდები, ვიწვიო?! —

ცეცხლი მოედო. აწითლდა,
ხელი დასტაცა ვერას
და უბოდიშოდ გასცილდა
ტრფობით აღსავსე კერას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7.

რომელი წლის? საბჭოთა წლის
გაზაფხულია.
ცელქ მიდამოს ლურჯი ნაჭრის
ცა ახურია.
მთამ ხავერდი გადაიცვა,
ია გაშლილა,
და ტოროლამ ცა და მიწა
შეაკავშირა.

მოდით, ნახეთ ვარდის სუნთქვა,
კვირტი ცვრიანი,
ვაზის ცრემლი, მთის ჩანჩქერი,
ხევის ჩხრიალი,
მზე და მთვარე, გზა და ხნული,
თესვა ყანაში...
მოდით, ნახეთ გაზაფხული
ჩემს ქვეყანაში.

რომელი წლის... საბჭოთა წლის
გაზაფხულია.
ჩემს ქვეყანას ლურჯი ნაჭრის
ცა ახურია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარდში ცურავს, ვარდი აწვიმს,
ვარდი სწყურია..
1929 წლის გაზაფხულია.

* * *

დღეს სკენდერმაც გაიხადა სასითბურო,
ზის. ჩიბუხით ჭერს და კედელს კვამლავს კართან.
სიბერეზე არ დასცდება საყვედური,
თუმცა ხედავს, რომ მუხლებში ღონე წახდა.

ეს ზამთარი უჩვეულო იყო მისთვის.
სულ აქ იჯდა, დერეფნიდან არ გასულა.
შინ უშვებენ, მაგრამ იგი მაინც იცდის —
მეც ვათევო უფროსივით, თავკაცურად.

ასე, ასე, ბერიკაცო, გენაცვალე,
ფხიზლად შეხვდი ყოველ დღეს და ყოველ ღამეს.
ყრმობის წლები — სიმწრის თასით გამოსცალე,
სიყმაწვილე — გიწამეს და ჩაგიშხამეს.

ამ ქარხანას უშენოდაც ააგებენ,
კაცურ შრომას რაგინდ თავი აარიდო.
მაგრამ ვაი, ვინც ამქვეყნად იბოგინა
და საქმეში თვისი წილი არ დაიდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუსფუსია კლუბში, გარეთ, ტელეფონში —
გახსნას უნდა მოყვეს დიდი სალამოცო.
ყველა მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი,
ყველა ღელავს, ემზადება საგამოცდოდ.
ყველა მიდის გამოცდაზე...
— მეც წამოვალ!..
ერთი, როგორ იმუშავებს უნდა ვნახო, —
ამბობს ლაზი. —
მაგრამ ეს ხომ საწარმოა...
უნებართვოდ ვინ მიგიშვებს მასთან ახლოს!
— ვერ შემიყვანთ? —
მიუბრუნდა უფროსს ლაზი.
— კი. პირობაც დაიხსომე ეს სასტიკი:
ამ სახლს უკან, ხიდთან გადის ქარხნის ხაზი.
და თამბაქო არ მოწიო ამ ხაზს იქით!

* * *

— „ცერილები, გაზეტები!“ —
ჭალი ფოსტით იდგა კართან.
სკენდერ ლაზმა შეკვრა მთელი
და წერილიც გამოართვა.
რადგან კითხვა არ იცოდა,
იქვე გულის გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ჩემია! გულმა მითხრა —
გახსნა. დაჯდა. წაიკითხა:
„მე და მურთაზი შიგ ხულოში ვართ
და, ჯერჯერობით, ოჯახში ორი.
ის კომკავშირის რაიკომშია,
მე — სკოლის გამგე, ის — ინსტრუქტორი.
ჩემმა მშობლებმაც ფოსტით გაიგეს
ჩემი და მისი დაქორწინება.
იწყინეს.
მაგრამ დრო თან წაიღებს,
თურმე
შვილისგან რაც გეწყინება.

ახლა სულ გვწერენ, როდის მოხვალთო.
სიძეს კოცნასაც უთვლიან მრავალს.
მაგრამ ჯერ ბეჭი თქვენთან მოვთალოთ,
მერე კი ერთად სოფელში წავალთ.

მაშინ, მგონია, ბავშვიც მეყოლოს.
ახლა შვილისთვის ვამზადებ აკვანს
უკვე ის მიკვირს: ბოლოს და ბოლოს
როგორ იცოცხლებ, შვილი თუ არ გყავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამთილს უყვარს დაბადებამდეც,
არ უნდა გოგო — „სხვისი ნაცარი“!
ბიჭი იყოსო მაინც და მაინც,
და თავიდანვე დიდი ნასწავლი.

ვერ მოესწროო საწყალ სულიას, —
გაცინებული დაიწყებს ტირილს.
ბადიშისათვის შენახული აქვს
ძველი მურაბაც და ლეღვის ჩირიც.

ო, შვილი, შვილი, ჩემო დაიკო!
მგონი, დანახვის სურვილი შემშლის,
მაგრამ დაბოლოს, რაც უნდა იყოს,
ხომ მეყოლება როდისმე ხელში!

ქოჩრით მოვა თუ დალალ-ნაწნავით —
ოღონდ ჭკუა და უნარი ახლდეს,
ისე გავზრდი და ისე ვასწავლი,
რომ შენი ქარხნის უფროსი გახდეს!

* * *

მაისია. ზეიმი აქვს მშენებლობას.
მას დღეიდან ხომ ქარხანა ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილიდანვე ყრიამული არ ნელდება.
თუმცა მიტინგს ხსნიან უფრო გვიან.

ქალაქიდან მრავალ სტუმარს მოელიან,
ავტოები მიმოქრიან გროვად.
დელეგატად არჩეული რომელია,
ოღონდ შეძლონ — მთლად აჭარა მოვა!

ფიცარნაგზე ოცი თვალი აციმციმდა,
დაიქუხა უსასრულო ტაშმა,
ტაშს და ვაშას მისალმების სიტყვა სცვლიდა.
მისალმებას — კვლავ ტაში და ვაშა...

ბევრი სიტყვა წარმოითქვა ტრიბუნიდან.
ახლა სიტყვა გულიკოსაც მისცეს.
მკვირცხლად მიდის, თუმცა მუხლი დაუმძიმდა,
როცა უკვე გამოსცილდა მის წრეს.

სადაა და მარტივია გულის სიტყვა,
ისე, როგორც უბრალოა თვითონ.
მაგრამ რაც კი მოახერხა
და რაც კი თქვა,
თან ეახლა გულის ხმა და სითბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამობრუნდა. ცეცხლია თუ ლოყებია!
ტრიბუნიდან მოაცილა ტაშმა.
შალიკო და მამა გვერდით მოყვებიან,
დეპეშა აქვთ. ძლივს მოასწრეს გაშლა.
თამარ სწერდა: ვაჟი მყავსო — ვაჟა.

* * *

— აბა, ადგილზე! —
წუთი გაქვავდა.
ფართო თვალები, გულის ფანცქალი.
მძიმე ლოდინმა სუნთქვაც დაკარგა:
აი, ახლაა სწორედ რაც არი...
და
ლენტის გაჭრა. დენის გაშვება.
ძალა ნათმენი და შეგუბული.
ბორბალთან ღვედის შეთამაშება.
ტაში, ტაში და ქარხნის გუგუნი.

...ნათელ ბინაში სუფრას არ აკლდა
არც ჩხავერი და არც ირმის ხორცი.
მალე პურ-ღვინო ალაპარაკდა —
ლაზიშვილები იხდიდნენ ქორწილს.

მთვარე მიადნა ცის დასალიერს.
ლხინში დნებოდა ღამე გვიანი.
და ბანს აძლევდა მრავალჟამიერს,
გამარჯვებული ქარხნის ვრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
АДЖАР. АССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

Малазония Нестор Глахунович
На берегу Черного моря
Поэма
(на грузинском языке)
Издательство «Сабчота Аджара»
Батуми, Гогебашвили, 24.
1969

რედაქტორი რ. ართილაყვა
მხატვარი ლ. სეიდიშვილი
მხატვრული რედ. გ. ხოჯაშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჭყონია
კორექტორი ნ. ჯიჯავაძე

გადაეცა წარმოებას 8.VIII-69.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.IX-69.
ქაღალდის ზომა 60 x 90 1/32.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3.25.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3.
შეკვ. № 3832, ემ 00796, ტირ. 3000.

ფასი 36 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“
ბათუმი, გოგებაშვილის, 24.
ბათუმის სტამბა № 9.
ბათუმი, ლუქსემბურგის, 22.
Батумская типография № 9
Батуми, ул. Р. Люксембург, 22

01729.
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა